Make a train "track" around the room, with several "stations." Students form a line and move like a train along the track. You play the role of the Station Master. The train must stop when it comes into a station. At that time, choose a student and practice the target language with the student. If the student does so successfully, give the student a "ticket." The student with the most tickets at the end wins.

Teacher's Mistake

In this game, students listen and/or watch carefully for your mistakes. When they catch a mistake, students should raise their hands. Increase the challenge by requiring students who catch your mistake to correct it.

Telephone

Have the class form one line. Whisper a different sentence to the student at each end. Students whisper the sentences along the line. No repeating allowed! When the sentences reach the opposite ends, have the students on the end say the sentences aloud to see if they are different.

Toss and Tell

Have students stand in a circle. S1 says the target language and then tosses or hands a ball, beanbag, or item of realia to S2. S2 responds. Then, S2 says the target language and tosses the ball to the next student.

Two Truths and a Lie

Hold up an object and make three statements about it to the class. Two statements must be true and one false. Students must listen carefully to catch the "lie" and then say the correct statement.

What's Missing?

First, show the class a set of picture cards and elicit the words. Then gather the cards and remove one. Set the remaining cards where everyone can see them. When students have decided which card is missing, they raise their hands and identify the missing card.

Word Roll

For this game, you will need to prepare special dice using vocabulary words beforehand, or you can provide the materials and have students make the dice in class. To play the game, students roll the dice and use the word that appears on the top face of a die to practice the target language. When playing in pairs, students use the word as a cue for a question-and-answer pattern.

პირველი კლასის ინგლისური ენის სახელმძღვანელოს პრეზენტაცია

სახელმძღვანელო მიზნად ისახავს მოსწავლეებს:

- გაუღვივოს ინტერესი ინგლისური ენისადმი სახალისო და საინტერესო თემებით;
- განუვითაროს სამეტყველო უნარ-ჩვევები (მოსმენის, საუბრის, კითხვისა და წერის), რაშიც მოსწავლეს ეხმარებიან სახელმძღვანელოს პერსონაჟები: დენი, ემა, ჯული და მაიკი. ისინი მთელი კურსის მეგზურები იქნებიან და სიმღერებით, თამაშებით, ვიზუალური ელემენტებითა თუ სახალისო აქტივობებით პროდუქტიულს გახდიან სწავლის პროცესს;
- ჩამოუყალიბოს დადებითი განწყობა ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ;
- აუმაღლოს ქცევის ეთიკური ნორმები და ზნეობრივი ფასეულობები;
- დაეხმაროს სწავლის სტრატეგიების დაუფლებაში;

კურსი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- მოსწავლის წიგნი;
- მოსწავლის რვეული;
- მასწავლებლის წიგნი;
- აუდიო მასალა;
- ვიდეომასალა;
- ფლეშკარდები.

მოსწავლის წიგნში წარმოდგენილია რვა თემატური ერთეული, რომელიც სრულ თანხვედრაშია მოსწავლის რვეულთან. თითო თემატური ერთეული (Unit) დაყოფილია ოთხ ნაწილად:

- Lesson 1 და Lesson 2 თემატური ერთეულის ფარგლებში შესასწავლ ლექსიკურ და გრამატიკულ მასალას წარმოგვიდგენს სახალისო, საინტერესო და შემეცნებითი აქტივობებით;
- Lesson 3, სახელწოდებით „Story“, ფუნქციურ-საკომუნიკაციო ენას სთავაზობს შემსწავლელს (მინი დიალოგები სახელმძღვანელოს პერსონაჟების ჩართულობით). თემები გლობალური ღირებულების მიხედვითაა შედგენილი და ორიენტირებულია ღირსებული მოქალაქეების აღზრდისკენ;
- Lesson 4-ს ეწოდება „Phonics“. ამ გაკვეთილის ფარგლებში ერთდროულად სამი ან/და ოთხი ასო-ბგერა შეისწავლება;

სამუშაო რვეული ზუსტად იმავე პრინციპითაა აგებული და თანხვედრაშია მოსწავლის წიგნთან. დამატებით, ყობელი ორი თემატური ერთეულის შემდეგ, შემოთავაზებულია Check up ტიპის დავალებები. სამუშაო რვეულის ბოლოს კი წარმოდგენილია Alphabet writing practice.

სახელმძღვანელოს შესაბამისობა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

განათლების რეფორმის ერთ-ერთი ფუნდამენტური მისია, სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებული იყოს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, გულისხმობს მოსწავლეს, როგორც სწავლის სუბიექტს და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველს. მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირება კი უზრუნველყოფილია მაშინ, როცა სასწავლო პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან, საფეხურებრივ მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს.

სწავლების თანამედროვე მიდგომა, რომელიც უნივერსალური დიზაინის პრინციპებს ეფუძნება, ქმნის სწავლის თანაბარ შესაძლებლობას ყველა ინდივიდისთვის მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა. მისი ძირითადი პრინციპია სწავლა-სწავლებისას მოხდეს ყველა მოსწავლისთვის რელევანტური სასწავლო მეთოდებისა და მასალის გამოყენება. სწორედ ამიტომ, სწავლების ამ მიდგომას „უნივერსალური“ ეწოდება. ამ პრინციპების გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო პროცესი შედეგის მომტანია არა მხოლოდ იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც აქვთ მზაობა, გაუმკლავდნენ მოცემულ მოთხოვნებს, არამედ სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვისაც, რომლებსაც აქვთ ცოდნის ათვისების თავისებური ტემპი, დემონსტრირების განსხვავებული შესაძლებლობები და შესაძლებელია, თანატოლებზე მეტ მხარდაჭერას საჭიროებდნენ სწავლის პროცესში.

I-IV კლასების სტანდარტი

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გრძელვადიანი მიზნები ჩამოყალიბებულია საგნობრივი სამიზნე ცნებებისა და საფეხურის შედეგების სახით.

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **Iუცხ.დაწყ.(I)1.:**

„Iუცხ.“ - მიუთითებს საგანს „პირველ უცხოურ ენას (ინგლისური ენა)“;

„დაწყ.“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„(I)“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს I-IV კლასებს;

„1“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

პირველი უცხოური ენის სტანდარტის შედეგები (I-IV კლასები)		
შედეგის ინდექსი	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**	**სამიზნე ცნებები**
Iუცხ.დაწყ. (I)1.	ნასწავლი ლექსიკური ერთეულებისა და გამონათქვამების ცოდნის გამოყენებით დიდაქტიზებული ტექსტების **მოსმენა/ მოსმენა-ყურება და გაგება** კონკრეტული ინფორმაციის მოსაპოვებლად.	**ტექსტი** (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)
Iუცხ.დაწყ. (I)2.	ნასწავლი ლექსიკური ერთეულებისა და გამონათქვამების ცოდნის გამოყენებით მარტივი ტექსტების **წაკითხვა და გაგება** კონკრეტული ინფორმაციის მოსაპოვებლად.	**სამეტყველო ქმედება** (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)
Iუცხ.დაწყ. (I)3.	სიტყვების წერილობით და ხმოვან ხატებს შორის არსებული მიმართებების დაცვით ტექსტების **გაწაფულად კითხვა** შინაარსის შეუფერხებელი წვდომისთვის.	**ენობრივი საშუალებები** შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)
Iუცხ.დაწყ. (I)4.	ნაცნობ თემატიკაზე ზეპირი ინტერაქცია მარტივი ენის გამოყენებით.	
Iუცხ.დაწყ. (I)5.	უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ბგერების, გამოთქმისა, მახვილებისა და ინტონაციის დაცვით საბავშვო ტექსტების (მაგ., ლექსების, სკეტჩების, გათვლების) ზეპირად თქმა საკომუნიკაციო უნარების გასავითარებლად.	
Iუცხ.დაწყ. (I)6.	ნასწავლი სიტყვების, წინადადებების გამოყენებით მარტივი, მოკლე ტექსტის დაწერა ნიმუშის მიხედვით (მაგ., მისალოცი ბარათი).	
Iუცხ.დაწყ. (I)7.	ყოველდღიურობასთან დაკავშირებული სოციოკულტურული რეალიების ამოცნობა, მშობლიურ რეალიებთან შედარება და მათ შორს არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების წარმოჩენა (მაგ., საკუთარი სახელი და მათი კნინობითი ფორმები).	

იმისათვის, რომ სახელმძღვანელო სრულ შესაბამისობაში იყოს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, ვიცით, რომ:

გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად საჭიროა სასწავლო პროცესი დაიყოს შუალედურ სასწავლო მიზნებად (კომპლექსურ დავალებებად). განსხვავებით გრძელვადიანი მიზნებისგან (რომელიც უკვე განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით), შუალედურ სასწავლო მიზნებს სკოლა (საგნობრივი კათედრა) განსაზღვრავს საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე და ქმნის კურიკულუმს.

შუალედური მიზნების გამოსაყოფად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სასწავლო თემის, როგორც სტრუქტურული ერთეულის მნიშვნელობის გააზრება. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, თემა წარმოადგენს კონტექსტს, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სწორად დაინახოს, თემის ფარგლებში რა კონ-კრეტულ სახეს მიიღებს ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნები (შედეგები და სამიზნე ცნებები). სწორედ ამ მიზნით, წარმოდგენილი სახელმძღვანელოს კომპლექტში თემები დაჯგუფებულია რვა თემატურ ერთეულად (Unit-ებად), რომლებიც სიღრმისეულად ამუშავებენ დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების სტანდა-რტით განსაზღვრულ საკითხებს/ქვესაკითხებს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მარტივად, თამაშების საშუალე-ბით მიაღწიოს ამავე სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, შედეგებს.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით შუალედური მიზანი თემის ფარგლებ-ში უნდა მოიცავდეს სამ აუცილებელ კომპონენტს:

- პროდუქტი, რომელსაც ქმნის მოსწავლე (მაგ. პირველ უცხოურ ენაში შეიძლება შეიქმნას შემდეგი პრო-დუქტები: პოსტერი, ინტერვიუ, როლური თამაში,სიმღერა, კომიქსი, რეკლამა, აფიშა, კულინარული რეცეპტი და სხვ.).
- ქვესაკითხი/ქვესაკითხები, რომელიც შესასწავლ საკითხს სამიზნე ცნების იერარქიასთან აკავშირებს;
- შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მიემართება დავალების სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს.

მასწავლებლის წიგნი თითოეული თემატური ერთეულის ფარგლებში გვთავაზობს ორ შუალედურ მიზანს (კომპლექსურ დავალებას), რომელიც ამუშავებს მოსწავლის წიგნსა და სამუშაო რვეულში წარმოდგენილ საკი-თხებს. მოცემული შუალედური დავალებები სანიმუშო ხასიათისაა და საათობრივი ბადის გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია საჭიროების მიხედვით შეარჩიოს რომელ და რამდენ შუალედურ მიზანს განახორციე-ლებს კონკრეტულ კლასში. ყველა მათგანის შესრულება არ არის სავალდებულო.

შუალედური მიზნები მოქნილი სამუშაო რესურსია, რაც მათი პირობების, კრიტერიუმების, აქტივობების თუ სამუშაო რესურსების მოსწავლეების საჭიროებებისა (მათ შორის სსსმ მოსწავლეების) და ინტერესების მიხედვით მორგება/ადაპტირების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, წარმოდგენილი რესურსები დამხმარე საშუალებაა სასკოლო კურიკულუმის შედგენისთვის, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევის შემადგენელი ნაწილია.

წარმოგიდგენთ ერთი შუალედური სასწავლო მიზნის პირობის ადაპტირების სანიმუშო ვერსიას
Unit 1 N1

დავალების სანიმუშო ვერსია:

წარმოიდგინე, რომ სახელმძღვანელოს პერსონაჟების თანაკლასელი ხარ და შენც მათსავით უნდა შეასრულო სიმღერა „I have..“ **(S.B., p. 5, D).** დახატე შენი სკოლის ნივთები (5-6- ნივთი) და დახატული თანმიმდევრობით შეასრულე სიმღერა.
ამისათვის გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი მასალა: Hello! I am…; I have: glue, scissors, paint, paper, crayon, pen, pencil, marker.

სიმღერის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- სიმღერის თემა: რომელი სასკოლო ნივთების ილუსტრაციები გაქვს დახატული და რა თანმიმდევრობით ასრულებ სიმღერას; **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);**
- როგორ გამოიყენე ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით. **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);**
- როგორ შეუხამე საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოსცემ ინფორმაციას. **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები).**

დავალების ადაპტირებული ვერსია:

წარმოიდგინე, რომ სახელმძღვანელოს პერსონაჟების თანაკლასელი ხარ. მერხზე დაალაგე სახელმძღვანელოში (თავი 1, გაკვეთილი 1, რუბრიკა A; გაკვეთილი 2, რუბრიკა A) მოცემული სასკოლო ნივთებიდან ისინი, რომლებიც თან გაქვს, მოისმინე სიმღერა „I have..“ (S.B., p. 5, რუბრიკა D) და რომელი ნივთის სახელსაც გაიგონებ, აჩვენე თანაკლასელებს და მასწავლებელს და/ან წარმოთქვი მისი დასახელება ინგლისურად/ქართულად.

ამისათვის გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი მასალა: glue, scissors, paint, paper, crayon, pen, pencil, marker.

სიმღერის მოსმენისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- თემა: რომელი სასკოლო ნივთები გაქვს შენ და რომელი სასკოლო ნივთებია სიმღერაში წარმოდგენილი **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);**
- როგორ გამოიყენე ნასწავლი სიტყვები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის შესაბამისად (მოუსმინე, იპოვე და დაასახელე ინგლისურად) **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);**
- როგორ შეუხამე საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია და გამოთქმები **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები).**

განმავითარებელი შეფასება

მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესის შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უდიდესი ადგილი უჭირავს:

1. **მოსწავლის თვითშეფასებას -** სწავლის პროცესის შეფასებაში ჩართულობა მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას.

2.**მასწავლებლის მხრიდან გაკეთებულ განმავითარებელ შეფასებას -** განმავითარებელი შეფასება ყურადღებას ამახვილებს როგორც დავალების დადებით მხარეებზე, ისე ხარვეზებზე და მათი გადაჭრის გზებზე. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

	განმავითარებელი
მიზნები	➢ სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; ➢ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.
ამოცანები	➢ ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; ➢ წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; ➢ მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; ➢ მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ➢ ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ➢ ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.
შემფასებელი და შეფასების ფორმები	**მასწავლებელი:** ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.. **მოსწავლეები:** თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.

ლაპარაკის (პრეზენტაციის) თვითშეფასების რუბრიკის ნიმუში

	☺ 😐 ☹	☺ 😐 ☹	☺ 😐 ☹
მივესალმე და გავუღიმე მსმენელებს.			
საუბრის დროს ვუყურებდი თანაკლასელებს/მეწყვილეს/ მასწავლებელს.			
ჩემი ხმა ყველას ესმოდა.			
წინასწარი მომზადება ძალიან დამეხმარა.			
საუბრის დროს გამოვიყენე ნასწავლი სიტყვები და ფრაზები.			
დასასრულს, დავემშვიდობე მსმენელებს და მადლობა გადავუხადე.			
მოუთმენლად ველი შემდეგ დავალებას.			

ლაპარაკის (პრეზენტაციის) ურთიერთშეფასების რუბრიკის ნიმუში

	☺ 😐 ☹	☺ 😐 ☹
თანაკლასელი საუბრის დასაწყისში მოგვესალმა და გაგვიღიმა. მეც მივესალმე და გავუღიმე.		
საუბრის დროს გვიყურებდა და ეტყობოდა, რომ კარგად იცოდა თემა, რაზეც საუბრობდა.		

ვუსმენდი ყურადღებით და ყველაფერი მესმოდა.		
მისი ნახატი (ილუსტრაცია, კომიქსი...) ასახავდა იმ თემას, რაზეც საუბრობდა.		
დასასრულს, დაგვემშვიდობა, მადლობა გადაგვიხადა და ისევ გაგვიღიმა		

SOLO (დაკვირვებადი სწავლის შედეგების) ტაქსონომია (ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია)

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის განმავითარებელ შეფასებაში ხაზგასმულია კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები და სწორედ მათთან მისადაგებით ვაფასებთ მოსწავლის ნაშრომს. შეფასებისთვის ვხელმძღვანელობთ SOLO ტაქსონომიის ხუთი დონით, რომლის თითოეული საფეხური წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს/სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. ცნების დაუფლება/შედეგის **მიღწევა გაიგივდება** მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებთან.

SOLO 1: პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს არ აქვს რელევანტური ინფორმაცია საკითხზე.
SOLO 2: უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს განსახილველ საკითხზე მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს.
SOLO 3: მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს განსახილველ საკითხზე მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა აქვს.
SOLO 4: მიმართებითი დონე მოსწავლეს შეუძლია: · სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად გააზრება და გაანალიზება; · სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; · კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონტექსტუალიზება (საგნის სხვა სამიზნე ცნებებთან დაკავშირება). · მიმართებითი დონეზე საკითხის/სამიზნე ცნების გააზრება ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგის მიღწევას. თუმცა, შესაძლებელია მოსწავლე უფრო შორსაც წავიდეს, ანუ იმ განზოგადებებისკენ, რომელიც აბსტრაქტული დონისთვისაა განსაზღვრული
SOLO 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე მოსწავლეს შეუძლია სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების ეროვნული სასწავლო გეგმის ზესაგნობრივ(მაკრო) ცნებებთან დაკავშირება.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი თითოეული თემატური ერთეულის შუალედურ მიზანს ნიმუშების სახით ერთვის საკითხის გააზრების შესაბამისობა SOLO ტაქსონომიის რუბრიკასთან.

შუალედური სასწავლო მიზანი N 1

Unit 1 - Art class (School supplies)
თემა - სასკოლო ნივთები

სამიზნე ცნება	**ქვეცნება**		**ქვესაკითხები**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	**კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი**	თემა, მიზანი, ადრესატი	თემა: „სასკოლო ნივთები“; მიზანი: სასკოლო ნივთების დასახელება სიმღერით; ადრესატი: თანატოლები.
	დისკურსული ჟანრი	სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტი	სიმღერა
	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება სიმღერაში	ინტონაცია, მახვილი, პაუზა, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი;
სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)	**ფუნქციური სამეტყველო ქმედება**	• ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; • ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ;	• Using social expressions - Hello; • Introducing oneself - I'm …; • Giving information - I have …
ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	**ლექსიკა**	• დავალების თემის შესაბამისი ლექსიკა-არსებითი სახელები; • ორთოეპია (მართლმეტყველება):	• Words of school supply: paper, glue, scissors, paint, crayon, pen, pencil, marker • უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ბგერები, ბგერათშენაერთები, გამოთქმა, მახვილები, ინტონაცია;
	გრამატიკა	Understanding the 1st person of the verb **to be, to have**	I am ...; I have ...

საკითხი - სიმღერა თემაზე: სასკოლო ნივთები

საკვანძო შეკითხვა:

- როგორ/რა ხერხების გამოყენებით ავითვისო სიმღერის წარსადგენად საჭირო ენობრივი მასალა?
- როგორ/რა ხერხების გამოყენებით წარვადგინო სასკოლო ნივთები სიმღერით თანატოლების წინაშე ?

<table>
<tr><td colspan="3">კომპლექსური დავალება:

წარმოიდგინე, რომ სახელმძღვანელოს პერსონაჟების თანაკლასელი ხარ და შენც მათსავით უნდა შეასრულო სიმღერა „I have...“ (S.B., p. 5, D). დახატე შენი სასკოლო ნივთები (5-6- ნივთი) და ნახატების თანმიმდევრობით შეასრულე სიმღერა.

ამისათვის გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი მასალა: Hello! I am …; I have: glue, scissors, paint, paper, crayon, pen, pencil, marker.</td></tr>
<tr><td>სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</td><td>შეფასების კრიტერიუმი

მოსწავლეს შეუძლია:</td><td>სიმღერის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</td></tr>
<tr><td>ტექსტი
(შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)
1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.

2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს.

3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს დახურულში კი სხვას.</td><td>ტექსტი

• კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ჟანრის გამოყენება; (მკვ.წ.4)
• ჟანრის სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვა; (მკვ.წ.1,2)
• სიტუაციური ფაქტორების შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა. (მკვ.წ.2,3)</td><td>• სიმღერის თემა: რომელი სასკოლო ნივთების ილუსტრაციები გაქვს დახატული და რა თანმიმდევრობით ასრულებ სიმღერას; რა ფორმით მიესალმები და გაეცნობი მსმენელს სიმღერის დაწყებამდე (ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);
• როგორ გამოიყენე ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით (ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);
• როგორ შეუხამე საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოსცემ ინფორმაციას (ტექსტი, ენობრივი საშუალებები);</td></tr>
</table>

4. უცხოენოვანი ტექსტების შესწავლა გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენაში. **სამეტყველო ქმედება** **(შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)** 1. სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა); **ენობრივი საშუალებები** **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)** 1. უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	**სამეტყველო ქმედება** • სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებების მიზნობრივად განხორციელება. (მკვ.წ.1) **ენობრივი საშუალებები** • ახალი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული საკითხების კონტექსტში გამოყენება. (მკვ.წ.1)	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ძირითადი რესურსი: სახელმძღვანელო: S.B; W.B; T.B. - Unit 1 (lessons 1, 2)

მულტიმედიური რესურსები: თემის შესაბამისი ილუსტრირებული ბარათები, პოსტერები, ვიდეო- და აუდიო მასალა.

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

წინარე ცოდნის გააქტიურება, გონებითი და განწყობითი მზაობის შექმნა

მასწავლებელი მიესალმება მოსწავლეებს და წარუდგენს თავს: „მე ვარ ...“ და წაახალისებს მოსწავლეებს, თავადაც წარადგინონ თავი. ამის შემდეგ მასწავლებელი მაგიდაზე დაალაგებს სასკოლო ნივთებს და იკითხავს: რა ნივთებია ესენი, როგორ და რა დროს იყენებენ მათ და აქვთ თუ არა ეს ნივთები.

დასვამს კითხვებს:

- სიმღერა თუ გიყვართ?
- თავად თუ შეგიქმნიათ სიმღერა?

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

მასწავლებელი რწმუნდება, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაიგო კომპლექსური დავალების <u>ტიპი, დანიშნულება და შეფასების კრიტერიუმები.</u>

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. (კრიტერიუმი 1) სიმღერის თემა: რომელი სასკოლო ნივთების ილუსტრაციები გაქვს დახატული და რა თანმიმდევრობით ასრულებ სიმღერას; რა ფორმით მიესალმები და გაეცნობი მსმენელს სიმღერის დაწყებამდე.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები
ქვეცნება - სტრატეგიები: ლექსიკის ათვისების, მოსმენილი ტექსტის გაგების, გრამატიკის.

ლექსიკა:

- რა სიტყვების, რა ენობრივი მასალის ცოდნა/შესწავლა დაგჭირდებათ თანატოლების წინაშე საკუთარი თავის წარსადგენად?
- როგორ ვივარჯიშოთ ცალკეული ბგერების, ბგერათშენაერთების, სიტყვების სწორად წარმოთქმაში? როგორ დავიცვათ სწორი ინტონაცია?
- როგორ შეიძლება მივესალმოთ და წარვადგინოთ თავი?
- როგორ მივხვდეთ მოსასმენი ტექსტისა და ილუსტრაციების დახმარებით პერსონაჟები ვინაობას?
- როგორ მოვიქცეთ, რომ უკეთ გავიგოთ მოსასმენი მასალა/ტექსტი/სიმღერა?
- რომელ სიტყვებს და ფრაზებს გამოიყენებ სასკოლო ნივთების დასახელებისთვის?
- როგორ დაიმახსოვრე სიმღერისთვის საჭირო ლექსიკური ერთეულები? (სიმღერით? საგნების მინიშნებით?)
- როგორ/რამდენად გეხმარება სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციები/სურათები მოსასმენი ტექსტის/სიმღერის გაგებაში?
- როგორ მოვამზადოთ სიმღერა?
- რატომ არის მნიშვნელოვანი სიმღერის დროს სიტყვების სწორად და მკაფიოდ წარმოთქმაზე დაფიქრება? მიმიკა-ჟესტიკულაციაზე დაფიქრება? სათანადო ინტონაციის დაცვა?

გრამატიკა/ენობრივი ფორმები:

- როგორ გადმოიცემა ინგლისურ ენაზე სიტყვები: ,,ვარ“?
- როგორ ამბობენ წიგნის პერსონაჟები საკუთარ თავზე? (მაგ: I am Danny; I am Emma) თავად როგორ იტყვი შენს სახელს?
- რა ენობრივი საშუალებებით იტყვი: „მე მაქვს...“?
- როგორ დაასახელებ შენს კუთვნილ სასკოლო ნივთებს?

ნაბიჯი 2 (კრიტერიუმი 2-3) როგორ გამოიყენე ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით; **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გამოხატავ შენს ემოციას, დამოკიდებულებას.

აქტივობა: მასწავლებელი მართავს **დისკუსიას** შემდეგ საკითხებზე:

- რა მახასიათებლები აქვს სიმღერას და რით განსხვავდება ის ლექსისგან?
- რას უნდა მივაქციოთ ყურადღება სიმღერის დროს? (სიმღერის ტემპი, რიტმი, ტექსტი)
- დაგეხმარება თუ არა ნახატები სიმღერის დროს?

საკუთარი სასკოლო ნივთების დახატვა და სიმღერის შესრულება

აქტივობა:

- მობილიზება ილუსტრაციების დასახატად;
- დახატული სასკოლო ნივთების ინგლისურად დასახელება;
- სასკოლო ნივთების სახელწოდებების ჩასმა სიმღერაში;
- რეპეტიციების გავლა;
- ნახატის დახმარებით სიმღერის წარდგენა;
- პრეზენტაციის შემდეგ განვლილი სამუშაო ეტაპების განხილვა (რა შეცდომებს უშვებ? რა უნდა გააუმჯობესო? როგორ გააუმჯობესებ? რა ხერხს გამოიყენებ ამისთვის? რაზე გჭირდება დამატებით ვარჯიში?)

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

(შეკითხვების ბანკის სრული ვერსია იხილეთ მატრიცების დასასრულს)

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი:

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?

ახსენი, რატომ შექმენი პრეზენტაცია? რომელი საკითხის ცოდნა გამოხატე კომპლექსური დავალებით?

- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რამდენად ეფექტურად წარადგინე პრეზენტაცია? (მაგ., თუკი საუბრობს პრეზენტაციის მახასიათებლებზე, რამდენად მართებულად გამოიყენა ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკა, მეტყველების არავერბალური ხერხები და ა.შ)

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნდოვან საკითხებში?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდათ ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული?

იმისათვის რომ განვსაზღვროთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ თითოეულ ქვესაკითხთან დაკავშირებით, გთავაზობთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ რუბრიკას. რუბრიკაში აღწერილია, რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეს მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით** (დაძლევის) **დონეს.**

სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **მოსწავლეს შეუძლია:**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.	• სიმღერის წარდგენა სასკოლო ნივთების დასახელების მიზნით; • სასკოლო ნივთებზე ილუსტრაციების შექმნა და სწორად გამოყენება; • მსმენელების დაინტერესება, მათთან ვიზუალური კონტაქტი
	2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს.	რითმის, ტემპის და ტექსტის შესაბამისობა ერთმანეთთან;
სამეტყველო ქმედება (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)	სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა);	• მისალმება და თავის წარდგენა: Hello; I am... • სიმღერით გადმოცემა, რომელი სასკოლო ნივთები აქვს „I have“ გრამატიკული ფორმის საშუალებით.
ენობრივი საშუალებები შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	• ნასწავლი სიტყვების და გრამატიკული ფორმების საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით გამოყენება Words of school supply: paper, glue, scissors, paint, crayon, pen, pencil, marker; I am ...; I have ...

შუალედური სასწავლო მიზანი N 2

Unit 1 - Art class (School supplies)
თემა - სასკოლო ნივთები

სამიზნე ცნება	**ქვეცნება**		**ქვესაკითხები**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	**კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი**	თემა, მიზანი ადრესატი	თემა: ,,სასკოლო ნივთები“ მიზანი: სასკოლო ნივთების დასახელება სწორი ინტონაციით; ადრესატი: თანაკლასელი;
	დისკურსული ჟანრი	სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტი	დიალოგი
	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება დიალოგში	• ინტონაცია, მახვილი, პაუზა, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი;
სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)	**ფუნქციური სამეტყველო ქმედება**	• ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; • ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ;	• Using social expressions - Hello; • Introducing oneself - I'm …; • Asking and giving information -What's your name? What do you have? I have a …
ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	**ლექსიკა**	• დავალების თემის შესაბამისი ლექსიკა-არსებითი სახელები; • **ორთოეპია** (მართლმეტყველება):	• Words of school supply: paper, glue, scissors, paint, crayon, pen, pencil, marker; • Asking and answering about possession: what do you have?; I have... • უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ბგერები, ბგერათშენაერთები, გამოთქმა, მახვილები, ინტონაცია;
	გრამატიკა	• Understanding the 1st person of the verb **to be, to have** • Question form of "have"	I am ...; I have ...; **What do you have?**

საკითხი მინი დიალოგი თემაზე: სასკოლო ნივთები

საკვანძო შეკითხვა:

- როგორ/რა ხერხების გამოყენებით ავითვისო დიალოგის გასათამაშებლად საჭირო ენობრივი მასალა?
- როგორ/რა ხერხების გამოყენებით დავსვა კითხვები და მოვამზადო პასუხები სასკოლო ნივთების შესახებ?

კომპლექსური დავალება:
წარმოიდგინე, რომ სკოლის პირველი დღეა და თანაკლასელებს ეცნობი **(Unit 1, lesson 3, p. 8)**. მეწყვილესთან ერთად გაითამაშე მინი დიალოგი, რომლ
დროსაც
ერთმანეთს გაესაუბრებით სასკოლო ნივთების შესახებ.

ამისათვის გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი მასალა: Hello! What's your name? I am …; What do you have? I have: glue, scissors, paint, paper, crayon, pen, pencil, marker...

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები <u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	**შეფასების კრიტერიუმი** <u>მოსწავლეს შეუძლია:</u>	<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>
ტექსტი **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)** 1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ. 2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება	**ტექსტი** • კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ჟანრის გამოყენება; (მკვ.წ.4) • ჟანრის სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვა; (მკვ.წ.1,2) • სიტუაციური ფაქტორების შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა. (მკვ.წ.2,3)	• რა არის დიალოგის თემა და მიზანი, ვინ არის შენი მსმენელი **(ტექსტი)**; • დიალოგის თემა - მიესალმე და გაიცანი მეწყვილე; დაინტერესდი, რა ჰქვია, და ჰკითხე, რა აქვს; უპასუხე მის კითხვებს **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);**

აქვთ. 3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას. 4. უცხოენოვანი ტექსტების შესწავლა გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენაში. **სამეტყველო ქმედება** **(შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)** 1. სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა); **ენობრივი საშუალებები** **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)** 1. უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	**სამეტყველო ქმედება** • სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებების მიზნობრივად განხორციელება. (მკვ.წ.1) **ენობრივი საშუალებები** • ახალი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული საკითხების კონტექსტში გამოყენება. (მკვ.წ.1)	• **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოეცი ინფორმაცია **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები);**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
ძირითადი რესურსი: სახელმძღვანელო S.B; W.B; T.B. (Unit 1)

მულტიმედიური რესურსები: თემის შესაბამისი ილუსტრირებული ბარათები, პოსტერები, ვიდეო და აუდიო მასალა.

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
წინარე ცოდნის გააქტიურება, გონებითი და განწყობითი მზაობის შექმნა

მასწავლებელი მიესალმება მოსწავლეებს და აჩვენებს ყუთს/ჩანთას, რომელშიც სასკოლო ნივთებია. დასვამს კითხვებს:

- როგორ ფიქრობთ, რა არის ყუთში?
- არის თუ არა ყუთში მოთავსებული ნივთები სკოლასთან დაკავშირებული?
- რომელი სასკოლო ნივთის სახელი იცით/გახსოვთ?

თამაში: Stop the teacher. მასწავლებელი იღებს ნივთებს სათითაოდ და „შეცდომით“ ასახელებს მათ: I have …. მოსწავლეები წამოიძახებენ: stop! თუ შეცდომას ამოიცნობენ და ასახელებენ სწორ სიტყვას.

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

მასწავლებელი რწმუნდება, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაიგო კომპლექსური დავალების ტიპი, დანიშნულება და შეფასების კრიტერიუმები.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1 (კრიტერიუმი 1) დიალოგის თემა - მიესალმე და გაიცანი მეწყვილე; დაინტერესდი, რა ჰქვია და ჰკითხე, რა აქვს; უპასუხე მის კითხვებს.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები
ქვეცნება - სტრატეგიები: ლექსიკის ათვისების, მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გაგების, გრამატიკის.

ლექსიკა:

- რა ჰქვიათ იმ საგნებს, რითაც ვწერთ და ვხატავთ?
- როგორ ამოვიცნოთ, ილუსტრაციაში რას ეკითხებიან პერსონაჟები ერთმანეთს?
- როგორ გეხმარება სიმღერა სიტყვებისა და ფრაზების დამახსოვრებაში?
- როგორ უპასუხებ თანაკლასელს კითხვაზე: „რა გაქვს?“
- როგორ გაიგებ თანაკლასელის სახელს? როგორ ჰკითხავ: „რა გქვია?“
- მის დასმულ კითხვაზე „რა გქვია?“, როგორ ვუპასუხებთ?

გრამატიკა /ენობრივი ფორმები

- როგორ დასვამ კითხვას: „რა გქვია?“ როგორ უპასუხებ?
- როგორ დასვამ კითხვას: „რა გაქვს?“
- შეგიძლია შეკითხვებში „What's you name?“ და „What do you have?“ იპოვო ინგლისური შესატყვისი სიტყვისა: „რა?“

ნაბიჯი 2. (კრიტერიუმი 2-3) **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით; **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოეცი ინფორმაცია.

აქტივობა: მასწავლებელი მართავს **დისკუსიას** შემდეგ საკითხებზე:

- რა მახასიათებლები აქვს დიალოგს და რით განსხვავდება ის თხრობისგან?
- რამდენად საჭიროა სწორი ინტონაციით საუბარი, რათა თანამოსაუბრემ გაიგოს შენი ნათქვამი?
- თუ თანამოსაუბრემ ვერ გაიგო შენი ნათქვამი, საჭიროა თუ არა გაუმეორო შეკითხვა/ რეპლიკა?

მეწყვილესთან ერთად დიალოგის გამართვა:

აქტივობა:

- მობილიზება, წყვილების შექმნა;
- როლების განაწილება და ავთენტური მასალის ან ნახატების მობილიზება;
- ცოდნის მობილიზება;
- რეპეტიციის გავლა;
- დიალოგის წარდგენა;
- დიალოგის წარდგენის შემდეგ სამუშაო ეტაპების განხილვა (რა შეცდომებს უშვებ? რა უნდა გააუმჯობესო? როგორ გააუმჯობესებ? რა ხერხს გამოიყენებ ამისთვის? რაზე გჭირდება დამატებით ვარჯიში?)

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

(შეკითხვების ბანკის სრული ვერსია იხილეთ მატრიცების დასასრულს)

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი:

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?

ახსენი, რატომ შექმენი პრეზენტაცია? რომელი საკითხის ცოდნა გამოხატე შენი კომპლექსური დავალებით?

- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რამდენად ეფექტურად წარადგინე პრეზენტაცია? (მაგ., თუკი საუბრობს პრეზენტაციის მახასიათებლებზე, რამდენად მართებულად გამოიყენა ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკა, მეტყველების არავერბალური ხერხები და ა.შ)

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნდოვან საკითხებში?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული?

იმისათვის რომ განვსაზღვროთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ თითოეულ ქვესაკითხთან დაკავშირებით, გთავაზობთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ რუბრიკას. რუბრიკაში აღწერილია, რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეს მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით** (დაძლევის) **დონეს**

სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.	• დიალოგის გამართვა თანაკლასელთან თემაზე: სასკოლო ნივთები; • ინტერესის გამოხატვა მეწყვილის მიმართ: დაინტერესება, რა ქვია, რა აქვს; • გაურკვევლობის შემთხვევაში რეპლიკის ან შეკითხვის გამეორება; • მსმენელების დაინტერესება, მათთან ვიზუალური კონტაქტი
	2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს.	დიალოგის ჟანრის შესაბამისი კომუნიკაციის დამყარება: შესავალი, ინფორმაციის გაცვლა..
სამეტყველო ქმედება (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)	სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა);	• მოსალმება და თავის წარდგენა: Hello, I am... • დიალოგის წარმართვა ინფორმაციის მოსაპოვებლად: What's your name? What do you have? • ინფორმაციის გადმოცემა საკუთარი სასკოლო ნივთების შესახებ: I have ...
ენობრივი საშუალებები შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	• ნასწავლი სიტყვების და გრამატიკული ფორმების საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით გამოყენება Words of school supply: paper, glue, scissors, paint, crayon, pen, pencil, marker; I am ...; I have... What do you have? What is your name? I have a ...

შუალედური სასწავლო მიზანი N 1

Unit 2 - Let's play
თემა - სათამაშოები

სამიზნე ცნება	**ქვეცნებები**		**ქვესაკითხები**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	**კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი**	თემა, მიზანი, ადრესატი	თემა: „სათამაშოები"; მიზანი: სათამაშოების თემაზე ინტერაქცია; ადრესატი: თანატოლები.
	დისკურსული ჟანრი	სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტი	დიალოგი
	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება დიალოგში	ინტონაცია, მახვილი, პაუზა, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი;
სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)	**ფუნქციური სამეტყველო ქმედება**	• ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; • ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ;	• Using social expressions – Hello; • Giving and asking for information - What is it? What do you have? • It's a …; I have a …
ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	**ლექსიკა**	• დავალების თემის შესაბამისი ლექსიკა- სათამაშოები; • **ორთოეპია**	• Words of toys: balloon, ball, doll, yo-yo, train, boat, jet, car; • (მართლმეტყველება): უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ბგერები, ბგერათშენაერთები, გამოთქმა, მახვილები, ინტონაცია;
	გრამატიკა	Understanding the 3rd person of the verb "**to be" (present simple)**	It is … - it's …

საკითხი - დიალოგი თემაზე: სათამაშოები
საკვანძო შეკითხვა:

- როგორ/რა ხერხების გამოყენებით ავითვისო დიალოგის გასამართად საჭირო ენობრივი მასალა?
- როგორ/რა ხერხების გამოყენებით წარვადგინო ჩემი დახატული სათამაშოები მეწყვილესთან?

კომპლექსური დავალება: გამოიყენე ნასწავლი ლექსიკა (სათამაშოები) და შექმენი ნახატები (4-5 სათამაშო) (ნიმუში იხ. სახელმძღვანელოს გვ. 15, D). მეწყვილესთან გამართე დიალოგი შესრულებული ნახატების შესახებ. **ამისათვის გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი მასალა:** What is it? It's ...: balloon, ball, doll, yo-yo, train, boat ,jet, car.		
სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები <u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	**შეფასების კრიტერიუმი** <u>მოსწავლეს შეუძლია:</u>	<u>სიმღერის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</u>
ტექსტი **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)** 1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ. 2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს. 3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს დახურულში კი სხვას.	**ტექსტი** • კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ჟანრის გამოყენება (მკვ.წ.4) ; • ჟანრის სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვა (მკვ.წ.1,2); • სიტუაციური ფაქტორების შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა (მკვ.წ.2,3).	• რა არის დიალოგის თემა და ვინ არის შენი მსმენელი **(ტექსტი)**; • დიალოგის თემა - რა სათამაშოებია გამოსახული შენს ნახატზე; ჰკითხე მეწყვილეს, რა არის მის ნახატზე და იმავე კითხვაზე თავადაც უპასუხე **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოსცემ ინფორმაციას **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები).**

4. უცხოენოვანი ტექსტების შესწავლა გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენაში. **სამეტყველო ქმედება** **(შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)** 1. სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა); **ენობრივი საშუალებები** **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)** 1. უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	**სამეტყველო ქმედება** • სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებების მიზნობრივად განხორციელება. (მკვ.წ.1) **ენობრივი საშუალებები** • ახალი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული საკითხების კონტექსტში გამოყენება. (მკვ.წ.1)	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

<u>ძირითადი რესურსი:</u> სახელმძღვანელო: S.B; W.B; T.B. - Unit 2 (lessons 1, 2)

<u>მულტიმედიური რესურსები:</u> თემის შესაბამისი ილუსტრირებული ბარათები, პოსტერები, ვიდეო და აუდიო მასალა.

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

წინარე ცოდნის გააქტიურება, გონებითი და განწყობითი მზაობის შექმნა
მასწავლებელი ესალმება მოსწავლეებს და დემონსტრირებისთვის ყუთს დებს მაგიდაზე (ყუთში მოთავსებულია სასკოლო ნივთები, რომელთა დასახელებები ინგლისურ ენაზე უკვე შეისწავლეს, ასევე სათამაშოები, რომელთა დასახელებებიც უნდა ისწავლონ). ასე წაახალისებს მოსწავლეებს, რომ დასვან კითხვა: what do you have? ამის შემდეგ რიგრიგობით იღებს ნივთებს და მოსწავლეები ინგლისურად ან/და ქართულად ასახელებენ მათ.

დასვამს კითხვებს:

- სათამაშოები უფრო გიყვართ თუ სასკოლო ნივთები?
- რომელია შენი საყვარელი სათამაშო?
- შეგიძლია რომელიმე სათამაშოს დახატვა?

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

მასწავლებელი რწმუნდება, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაიგო კომპლექსური დავალების <u>ტიპი, დანიშნულება და შეფასების კრიტერიუმები.</u>

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1 (კრიტერიუმი 1-2) დიალოგის თემა - რა სათამაშოები გამოსახე ნახატზე; ჰკითხე მეწყვილეს, რა არის მის ნახატზე და იმავე კითხვას თავადაც უპასუხე.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები
<u>**ქვეცნება -**</u> **სტრატეგიები**: ლექსიკის ათვისების, მოსმენილი ტექსტის გაგების, გრამატიკის.

ლექსიკა:

- როგორ მიესალმები შენს მსმენელს?
- რა სიტყვების, რა ენობრივი მასალის ცოდნა/შესწავლა დაგჭირდება დახატული სათამაშოების მეწყვილისთვის წარსადგენად?
- როგორ ვივარჯიშოთ ცალკეული ბგერების, ბგერათშენაერთების, სიტყვების სწორად წარმოთქმაში? როგორ დავიცვათ სწორი ინტონაცია?
- როგორ მივხვდეთ მოსასმენი ტექსტისა და ილუსტრაციების დახმარებით დაწერილი სიტყვების მნიშვნელობას?
- როგორ/რამდენად გეხმარება სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციები მოსასმენი ტექსტის გაგებაში?
- როგორ მოვიქცეთ, რომ უკეთ გავიგოთ მოსასმენი მასალა/ტექსტი/სიმღერა?
- რომელ სიტყვებს და ფრაზებს გამოიყენებ სათამაშოების დასახელებისთვის?
- როგორ ვესალმებით თანაკლასელს საუბრის დაწყებისას?
- როგორ მოვემზადოთ დიალოგისთვის?

თამაში: „A missing toy“- (წყვილებში ან ჯგუფურად) მასწავლებელი დაალაგებს სათამაშოებს ან ბარათებს და სთხოვს მოსწავლეებს დაიმახსოვრონ. ამის შემდეგ, მოსწავლეები თვალებს დახუჭავენ და მასწავლებელი დამალავს ერთ სათამაშოს. თვალების გახელის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ კითხვას: What is missing?

გრამატიკა/ენობრივი ფორმები:

- როგორ გადმოიცემა ინგლისურ ენაზე გამოთქმა: „ეს არის“?
- როგორ უპასუხებ კითხვაზე: „რა არის ეს?“ (What is it?)
- შეადარე კითხვები: „What is it?“ და „What do you have?“ დააკვირდი შენს პასუხებს.

ნაბიჯი 2 (კრიტერიუმი 3-4) **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით; **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოსცემ ინფორმაციას.

ნახატის შექმნა და დიალოგის გამართვა.

აქტივობა: მასწავლებელი სვამს კითხვას:

- რომელი სათამაშოების დახატვას აპირებთ?
- რა მახასიათებლები აქვს დიალოგს და რით განსხვავდება ის თხრობისგან?
- როგორ გამოვხატოთ დაინტერესება მეწყვილის შესრულებული ნახატისადმი?
- რამდენად საჭიროა სწორი ინტონაციით საუბარი, რათა თანამოსაუბრემ გაიგოს შენი ნათქვამი?
- თუ თანამოსაუბრემ ვერ გაიგო შენი ნათქვამი, საჭიროა თუ არა გაუმეორო შეკითხვა/ რეპლიკა?

აქტივობა:

- მობილიზება ილუსტრაციების დასახატად;
- დახატული სათამაშოების ინგლისური სახელწოდებების გახსენება და სწორად დასახელება;
- მეწყვილესთან ერთად რეპეტიციების გავლა;
- დიალოგის წარმართვა;
- დიალოგის შემდეგ განვლილი სამუშაო ეტაპების განხილვა (რა შეცდომებს უშვებ? რა უნდა გააუმჯობესო? როგორ გააუმჯობესებ? რა ხერხს გამოიყენებ ამისთვის? რაზე გჭირდება დამატებით ვარჯიში?)

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

(შეკითხვების ბანკის სრული ვერსია იხილეთ მატრიცების დასასრულს)

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი:

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?

ახსენი, რატომ შექმენი პრეზენტაცია? რომელი საკითხის ცოდნა გამოხატე კომპლექსური დავალებით?

- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რამდენად ეფექტურად წარადგინე პრეზენტაცია? (მაგ., თუკი საუბრობს პრეზენტაციის მახასიათებლებზე, რამდენად მართებულად გამოიყენა ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკა, მეტყველების არავერბალური ხერხები და ა.შ)

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნდოვან საკითხებში?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდათ დავალებული?

იმისათვის რომ განვსაზღვროთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ თითოეულ ქვესაკითხთან დაკავშირებით, გთავაზობთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ რუბრიკას. რუბრიკაში აღწერილია, რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეს მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით** (დაძლევის) **დონეს.**

სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.	• დიალოგის გამართვა თანაკლასელთან თემაზე: სათამაშოები; • ინტერაქცია, რა სათამაშოებია წარმოდგენილი ნახატებზე; • სწორი ინტონაციით საუბარი (მისი საუბარი გასაგებია მეწყვილისთვის); • გაურკვევლობის შემთხვევაში რეპლიკის ან შეკითხვის გამეორება; • მსმენელების დაინტერესება, მათთან ვიზუალური კონტაქტი.
	2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს.	შესაბამისი კომუნიკაციის დამყარება: დიალოგის შესავალი, ინფორმაციის გაცვლა.
სამეტყველო ქმედება (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)	სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა);	• მისალმება და საკუთარი თავის წარდგენა: Hello, I am ... • დიალოგის წარმართვა ინფორმაციის მოსაპოვებლად: What is it? What do you have? • ინფორმაციის გადმოცემა სათამაშოების შესახებ: I have a ... it is a ...
ენობრივი საშუალებები შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	• ნასწავლი სიტყვების და გრამატიკული ფორმების საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით დიალოგში გამოყენება • Words of toys: balloon, ball, doll, yo-yo, train, boat, jet, car. • What is it? It is a ...;

შუალედური სასწავლო მიზანი N 2

Unit 2 - Let' s play
თემა - მოდი, ვითამაშოთ

სამიზნე ცნება	ქვეცნება		ქვესაკითხები
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	**კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი**	თემა, მიზანი ადრესატი	თემა: „მოდი, ვითამაშოთ“ მიზანი: სასკოლო ნივთებისა და სათამაშოების შესახებ ინტერაქცია; ადრესატი: თანატოლები;
	დისკურსული ჟანრი	სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტი	დიალოგი
	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება	• არავერბალური კომუნიკაციის საშუალება ზეპირ ტექსტში • ზეპირი ინტერაქციის სტრუქტურირება	• ინტონაცია, მახვილი, პაუზა, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი; • საუბრის წამოწყება, საუბარში ჩართვა, რეპლიკაზე ადეკვატური პასუხის გაცემა.
სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)	**ფუნქციური სამეტყველო ქმედება**	• ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; • ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ.	• Using social expressions- Hello; Hi; Good bye; • Asking and giving information about toys and school supplies.
ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	**ლექსიკა**	• I და II თემატური ერთეულის ფარგლებში შესასწავლი ლექსიკური ერთეულები და ფრაზები; • ორთოეპია (მართლმეტყველება)	• Words of greetings: Hi; Hello; Goodbye; • Toys: boat, car, train, ball, balloon, jet, doll, yo-yo; • School supplies: paint, crayon, pen, pencil, glue, marker. • ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ბგერები, ბგერათშენაერთები, გამოთქმა, მახვილები, ინტონაცია;
	გრამატიკა	• Understanding the 3rd person of the verb “to be” (present simple) • Revising the 1st person of the verb “to have” (present simple)	It is ... - it's … I have … I have a ...

საკითხი - სამაგიდო თამაში „სათამაშოები და სასკოლო ნივთები“

საკვანძო შეკითხვა

- როგორ/რა ხერხების გამოყენებით ავითვისო საჭირო ენობრივი მასალა?
- როგორ/რა ხერხების გამოყენებით შევასრულო სამაგიდო თამაში ინგლისურ ენაზე?

კომპლექსური დავალება:
გაეცანი სახელმძღვანელოში მოცემულ სამაგიდო თამაშს (Check up 1, C, გვ. 21) და მეწყვილესთან ერთად ითამაშე მსგავსი თამაში სასკოლო ნივთებისა და სათამაშოების დასახელებების გამოყენებით.

- **ამისათვის გამოიყენე შესაბამისი ენობრივი მასალა:** Words of greetings: Hi, Hello, Goodbye; Toys: boat, car, train, ball, balloon, jet, doll, yo-yo; School supplies: paint, crayon, pen, pencil, glue, marker.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	თამაშის დროს ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
ტექსტი **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)** 1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (*თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები*), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, *თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.* 2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს.	**ტექსტი** • კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ჟანრის გამოყენება; (მკვ.წ.4) • ჟანრის სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვა; (მკვ.წ.1,2) • სიტუაციური ფაქტორების შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა. (მკვ.წ.2,3)	• თამაშის თემა: რომელი სიტყვებია წარმოდგენილი სამაგიდო თამაშში და რას იტყვი თითოეული სურათის შესახებ **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები, სამეტყველო ქმედება);** • **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოსცემ ინფორმაციას **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები);**

3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას. 4. უცხოენოვანი ტექსტების შესწავლა გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენაში. **სამეტყველო ქმედება** **(შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)** 1. სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა); **ენობრივი საშუალებები** **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)** 1. უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	**სამეტყველო ქმედება** • სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებების მიზნობრივად განხორციელება. (მკვ.წ.1) **ენობრივი საშუალებები** • ახალი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული საკითხების კონტექსტში გამოყენება. (მკვ.წ.1)	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

<u>ძირითადი რესურსი:</u> სახელმძღვანელო: S.B; W.B; T.B. (Unit 2)

<u>მულტიმედიური რესურსები:</u> თემის შესაბამისი ილუსტრირებული ბარათები, პოსტერები, ვიდეო და აუდიო მასალა.

<u>იხ. დამატებითი რესურსი N1:</u>

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

წინარე ცოდნის გააქტიურება, გონებითი და განწყობითი მზაობის შექმნა

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს:

- იცით თუ არა, რას ნიშნავს სამაგიდო თამაში?
- რომელი სამაგიდო თამაში იცით/გახსოვთ?
- რომელ თემებზე შევძლებთ თამაშს? რა ვისწავლეთ?

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- როგორ გგონიათ, იმისათვის რომ ვითამაშოთ სამაგიდო თამაში ინგლისურად, რომელი სიტყვებისა და ფრაზების გამეორება დაგვჭირდება,
- რა არის საჭირო იმისათვის, რომ თამაში საინტერესო და მხიარული გამოვიდეს?

მასწავლებელი რწმუნდება, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაიგო კომპლექსური დავალების <u>ტიპი, დანიშნულება და შეფასების კრიტერიუმები.</u>

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. (კრიტერიუმი 1) თამაშის თემა: რომელი სიტყვებია წარმოდგენილი თქვენს სამაგიდო თამაშში და რას იტყვი თითოეული სურათის შესახებ.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები
<u>ქვეცნება - </u>სტრატეგიები: ლექსიკის ათვისების, მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გაგების, გრამატიკის.

<u>**ძირითადი რესურსი: სახელმძღვანელო**</u>

- როგორ მიესალმები და დაემშვიდობები შენს მეწყვილეს?
- რა სიტყვების, რა ენობრივი მასალის ცოდნა/შესწავლა დაგჭირდებათ მეწყვილესთან სამაგიდო თამაშის სათამაშოდ?
- როგორ ვივარჯიშოთ ცალკეული ბგერების, ბგერათშენაერთების, სიტყვების სწორად წარმოთქმაში? როგორ დავიცვათ სწორი ინტონაცია?
- როგორ/რამდენად გეხმარება სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციები/სურათები მოსასმენი ტექსტის გაგებაში?
- როგორ მივხვდეთ მოსასმენი ტექსტისა და ილუსტრაციების დახმარებით დაწერილი სიტყვების მნიშვნელობას?
- როგორ მოვიქცეთ, რომ უკეთ გავიგოთ მოსასმენი მასალა/ტექსტი/სიმღერა?
- რომელ სიტყვებს და ფრაზებს გამოიყენებ თამაშის დროს საგნების დასახელებისთვის?

გრამატიკა

- როგორ იტყვი ინგლისურ ენაზე: ,,ეს არის...“?
- როგორ იტყვი ინგლისურ ენაზე: „მე მაქვს...“?

ნაბიჯი 2 (კრიტერიუმი 2-3) რა არის თამაშის მიზანი; ვინ არის შენი ადრესატი; **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით; **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოსცემ ინფორმაციას.

სამაგიდო თამაშის თამაში მეწყვილესთან ერთად.

<u>დამატებითი რესურსი:</u>

აქტივობა: მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს თამაშის წესებს:

- იყოფით წყვილებად და თითო წყვილს გირიგდებათ ერთი სამუშაო (დაბეჭდილი) ფურცელი და ერთი ცალი მონეტა;
- სამუშაო ფურცელზე მოცემულია დავალება;
- მონეტის მთავარი მხარე აღნიშნავს ორი უჯრით წინ გადაადგილებას;
- მეორე მხარე აღნიშნავს ერთი უჯრით წინ გადაადგილებას;
- თამაშობთ რიგრიგობით;
- მოგებულია ის, ვინც უჯრებში მოცემულ დავალებებს სწორად შეასრულებს

გავაგოროთ მონეტა და დავიწყოთ თამაში.

(სასურველია, თამაშის მოდელირება მასწავლებელმა წინასწარ განახორციელოს)

აქტივობა: მასწავლებელი მართავს **დისკუსიას** შემდეგ საკითხებზე:

- რამდენად კარგად გაიგეთ, როგორ უნდა ვითამაშოთ?
- როგორ მოვემზადოთ სამაგიდო თამაშისთვის?
- როგორ გაესაუბრები მეწყვილეს და ეტყვი, რა არის შენს ნახატზე?
- საჭიროა თუ არა ნელა და სწორი ინტონაციით საუბარი?
- შეიძლება თუ არა ორივე მონაწილე იყოს თამაშის გამარჯვებული?

აქტივობა:

- თამაშის წარმართვა;
- თამაშის შემდეგ ყველა მონაწილის წამახალისებელი დაჯილდოება და განვლილი სამუშაო ეტაპების განხილვა (*რა შეცდომებს უშვებ? რა უნდა გააუმჯობესო? როგორ გააუმჯობესებ? რა ხერხს გამოიყენებ ამისთვის? რაზე გჭირდება დამატებით ვარჯიში?)*

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

(შეკითხვების ბანკის სრული ვერსია იხილეთ მატრიცების დასასრულს)

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი:

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?

ახსენი, რატომ შექმენი პრეზენტაცია? რომელი საკითხის ცოდნა გამოხატე კომპლექსური დავალებით?

- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რამდენად ეფექტურად წარადგინე პრეზენტაცია? (მაგ., თუკი საუბრობს პრეზენტაციის მახასიათებლებზე, რამდენად მართებულად გამოიყენა ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკა, მეტყველების არავერბალური ხერხები და ა.შ)

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნდოვან საკითხებში?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული?

იმისათვის რომ განვსაზღვროთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ თითოეულ ქვესაკითხთან დაკავშირებით, გთავაზობთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ რუბრიკას. რუბრიკაში აღწერილია, რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეს მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით** (დაძლევის) **დონეს.**

სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (*თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები*), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, *თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.*	• დიალოგის გამართვა თანაკლასელთან სამაგიდო თამაშის საშუალებით სათამაშოებისა და სასკოლო ნივთების თემაზე; • დასახელება, რომელი სიტყვებია გამოყენებული სამაგიდო თამაშში; • სწორი ინტონაციით საუბარი (მისი საუბარი გასაგებია მეწყვილისთვის); • გაურკვევლობის შემთხვევაში რეპლიკის ან შეკითხვის გამეორება;
	2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს.	შესაბამისი კომუნიკაციის დამყარება: შესავალი, ინფორმაციის გაცვლა, დამშვიდობება
სამეტყველო ქმედება (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)	სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა);	• მისალმება, დამშვიდობება: Hello, Hi, Goodbye. • ინფორმაციის მოპოვება და გადმოცემა სათამაშოებისა და სასკოლო ნივთების შესახებ: It is a… what is it?
ენობრივი საშუალებები შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	ნასწავლი სიტყვების და გრამატიკული ფორმების საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით გამოყენება დიალოგში. • Words of greetings: Hi; Hello; Goodbye; • Toys: boat, car, train, ball, balloon, jet, doll, yo-yo; • School supplies: paint, crayon, pen, pencil, glue, marker; • It is a …;

შუალედური სასწავლო მიზანი N 1

Unit 3 - Colours
თემა - ფერები

სამიზნე ცნება	**ქვეცნებები**		**ქვესაკითხები**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	**კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი**	თემა, მიზანი, ადრესატი	თემა: ,,ფერები“ მიზანი: • მოსასმენი ამოცანების გადაჭრა; • საკუთარი ნაშრომის მეწყვილესთან შედარება; ადრესატი: თანაკლასელი
	დისკურსული ჟანრი	სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტი	მინი დიალოგი
	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება დიალოგში	• ინტონაცია, მახვილი, პაუზა, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი;
სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)	**ფუნქციური სამეტყველო ქმედება**	• ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; • ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ;	• Using social expressions – Hello; Thank you; Goodbye; • Giving and asking for information: It's a … It's … What color is it? What is it?
ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	**ლექსიკა**	• დავალების თემის შესაბამისი ლექსიკა-ფერები • **ორთოეპია** (მართლმეტყველება):	• Colours: red, yellow, blue, green, orange, purple, pink, brown; • Pen is … crayon is … • ბგერები, ბგერათშენაერთები, გამოთქმა, მახვილები, ინტონაცია;
	გრამატიკა	• Understanding the 1st person of the verb - **to be (is)**	• It's a … It's …

საკითხი: სამაგიდო თამაშის - „ბინგო" - შესახებ დიალოგის წარმართვა თემაზე: ფერები

საკვანძო შეკითხვა:

- როგორ/რა ხერხების გამოყენებით ავითვისო თამაშისთვის საჭირო ენობრივი მასალა და ამოვიცნო გაგონილი ფერები?
- როგორ/რა ხერხების გამოყენებით გავესაუბრო მეწყვილეს და დავადგინო, რამდენად სწორად გვაქვს შესრულებული დავალება?

კომპლექსური დავალება:



ფერებზე სიმღერის შესწავლის შემდეგ (Unit 3, Lesson 1, D) გააფერადე მოცემული სურათები სხვადასხვა ფერით და მეწყვილესთან გაითამაშე დიალოგი.

ამისათვის გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი მასალა: Hello! What is it? What colour is it? It's ... ფერები: red, yellow, blue, green, orange, purple, pink, brown.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	დიალოგში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
ტექსტი **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)** 1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია(*თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები*), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.	**ტექსტი** • კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ჟანრის გამოყენება; (მკვ.წ.4) • ჟანრის სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვა; (მკვ.წ.1,2)	• რა არის თქვენი დიალოგის თემა და ვინაა ადრესატი **(ტექსტი);** • რომელი ფერებითაა გაფერადებული შენი ნახატები? როგორ დასვამ კითხვებს (მაგ.: რა ფერია ქუდი?) **(სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები

2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს. 3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას. 4. უცხოენოვანი ტექსტების შესწავლა გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენაში. **სამეტყველო ქმედება** **(შედეგი : (I) 3, 4, 5, 6)** 1. სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა); **ენობრივი საშუალებები** **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)** 1. უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	• სიტუაციური ფაქტორების შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა. (მკვ.წ.2,3) **სამეტყველო ქმედება** • სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებების მიზნობრივად განხორციელება. (მკვ.წ.1) **ენობრივი საშუალებები** • ახალი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული საკითხების კონტექსტში გამოყენება. (მკვ.წ.1)	საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოეცი ინფორმაცია **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები);**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
<u>ძირითადი რესურსი:</u> სახელმძღვანელო: S.B; W.B; T.B - Unit 3 (lessons 1, 2)

<u>მულტიმედიური რესურსები:</u> თემის შესაბამისი ილუსტრირებული ბარათები, პოსტერები, ვიდეო და აუდიო მასალა.

<u>დამატებითი რესურსი N2</u>:



ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
წინარე ცოდნის გააქტიურება, გონებრივი და განწყობითი მზაობის შექმნა

მასწავლებელი მიესალმება მოსწავლეებს, აჩვენებს ფერად ფანქრებს და სვამს კითხვებს:

- რით ჰგავს და რით განსხვავდება ეს ფანქრები ერთმანეთისგან?
- რამდენად კარგად იცით ფერების სახელები მშობლიურ ენაზე?
- რომელია თქვენი საყვარელი ფერი?
- გაფერადება თუ გიყვართ?

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

მასწავლებელი რწმუნდება, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაიგო კომპლექსური დავალების <u>ტიპი, დანიშნულება და შეფასების კრიტერიუმები.</u>

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. (კრიტერიუმი: 1-2) რა არის თქვენი დიალოგის თემა და ვინაა ადრესატი; რომელი ფერებითაა გაფერადებული შენი ნახატები ფურცელზე; რა ფორმით დასვამ კითხვებს (მაგ: რა ფერია ქუდი?).

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები
<u>ქვეცნება - </u>სტრატეგიები: ლექსიკის ათვისების, მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გაგების, გრამატიკის.

ლექსიკა:

- რამდენად გეხმარება შესწავლილი სიმღერა ფერების დამახსოვრებაში? (Lesson 1, D)
- როგორ დაიმახსოვრებ ახალ სიტყვებს: რამდენჯერმე გამეორებით? გაფერადებით და ფერების დასახელებით? სიმღერით?
- შეგიძლია იპოვო ოთხი ლურჯი ფერის სასკოლო ნივთი შენს საკლასო ოთახში? დაასახელე ასეთი ნივთები;
- შეგიძლია ჩამოთვალო, რა ფერის ფანქრები გაქვს პენალში?
- როგორ უპასუხებ თანაკლასელს კითხვაზე: რა ფერია ეს?

გრამატიკა /ენობრივი ფორმები

- როგორ დასვამ კითხვას: „რა ფერია ეს?“
- რამდენად კარგად გახსოვს, რომ კითხვაზე „რა ფერია ეს?“, უნდა უპასუხო: „ეს არის...“

ნაბიჯი 2. *(კრიტერიუმი 3-4)* **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით; **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოეცი ინფორმაცია.

აქტივობა: მასწავლებელი მართავს **დისკუსიას** შემდეგ საკითხებზე:

- რა არის დიალოგი?
- როგორ დაგეხმარება შესწავლილი სიტყვები (ფერები) კითხვებზე სწორი პასუხის გაცემაში?
- რა მახასიათებლები აქვს ეფექტურ, საინტერესო დიალოგს?
- რატომაა საჭირო მეტყველებისას სიტყვების სწორად გამოთქმაზე დაფიქრება? მიმიკა-ჟესტიკულაციაზე დაფიქრება?

მეწყვილესთან ერთად დიალოგის გამართვა:

<u>დამატებითი რესურსი N2</u>

აქტივობა:

- რესურსების მობილიზება;
- კლასის დაყოფა წყვილებად;
- ცოდნის მობილიზება;
- ვთამაშობთ „ბინგოს“;
- თამაშის დასრულების შემდეგ დიალოგის წარმართვა;
- დიალოგის შემდეგ სამუშაო ეტაპების განხილვა (რა შეცდომებს უშვებ? რა უნდა გააუმჯობესო? როგორ გააუმჯობესებ? რა ხერხს გამოიყენებ ამისთვის? რაზე გჭირდება დამატებით ვარჯიში?)

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

(შეკითხვების ბანკის სრული ვერსია იხილეთ მატრიცების დასასრულს)

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი:

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?

ახსენი, რატომ შექმენი პრეზენტაცია? რომელი საკითხის ცოდნა გამოხატე კომპლექსური დავალებით?

- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რამდენად ეფექტურად წარადგინე პრეზენტაცია? (მაგ., თუკი საუბრობს პრეზენტაციის მახასიათებლებზე, რამდენად მართებულად გამოიყენა ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკა, მეტყველების არავერბალური ხერხები და ა.შ)

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნდოვან საკითხებში?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული?

იმისათვის რომ განვსაზღვროთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ თითოეულ ქვესაკითხთან დაკავშირებით, გთავაზობთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ რუბრიკას. რუბრიკაში აღწერილია, რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეს მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით** (დაძლევის) **დონეს.**

სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (*თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები*), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, *თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.*	• დიალოგის გამართვა თანაკლასელთან ფერების შესახებ; • ინტერაქცია, რა ფერითაა გაფერადებული ფურცელზე მოცემული სურათები; • სწორი ინტონაციით საუბარი (მისი საუბარი გასაგებია მეწყვილისთვის); • გაურკვევლობის შემთხვევაში რეპლიკის ან შეკითხვის გამეორება;
	2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს.	დიალოგის ჟანრის შესაბამისი კომუნიკაციის დამყარება: შესავალი, ინფორმაციის გაცვლა, დამშვიდობება
სამეტყველო ქმედება (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)	სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა);	• მისალმება, მადლობის გადახდა, დამშვიდობება: Hello; Hi; Thank you; Goodbye. • ინფორმაციის მოპოვება და გადმოცემა ფერების შესახებ: It is … what colour is it?
ენობრივი საშუალებები შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	ნასწავლი სიტყვების და გრამატიკული ფორმების საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით გამოყენება დიალოგში. • Colours: red, yellow, blue, green, orange, purple, pink, brown • Pen is … crayon is … • What colour is it? It's ...

შუალედური სასწავლო მიზანი N 2

Unit 3 - Colours

თემა - ფერები

სამიზნე ცნება	**ქვეცნებები**		**ქვესაკითხები**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	**კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი**	თემა, მიზანი ადრესატი	თემა: „ფერები“ მიზანი: ფერების იდენტიფიცირება და ამოცნობა; ადრესატი: თანაკლასელი;
	დისკურსული ჟანრი	სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტი	დიალოგი
	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება დიალოგში	• ინტონაცია, მახვილი, პაუზა, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი;
სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)	**ფუნქციური სამეტყველო ქმედება**	• ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; • ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ;	• Using social expressions – Hello; How are you?; I'm OK; I'm fine; Goodbye. • Introducing oneself - I'm …; Giving and asking for information about colors
ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	**ლექსიკა**	• დავალების მიზნის შესაბამისი ლექსიკა-ფერები • **ორთოეპია** (მართლმეტყველება):	• Colors: red, yellow, blue, green, orange, purple, pink, brown. • უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ბგერები, ბგერათშენაერთები, გამოთქმა, მახვილები, ინტონაცია;
	გრამატიკა	• Understanding the 1st person of the verb **to be**	• It's a … It's …

საკითხი: გასაფერადებელი სურათების დახმარებით დიალოგი თემაზე: ფერები.

საკვანძო შეკითხვა:

- როგორ/რა ხერხების გამოყენებით ავითვისო დიალოგისთვის საჭირო ენობრივი მასალა და ამოვიცნო დაწერილი სიტყვები?
- როგორ/რა ხერხების გამოყენებით წარმოვადგინო დიალოგი?



კომპლექსური დავალება:

შესწავლილი ფერების გამოყენებით (Unit 3, lesson 2, C) გააფერადე სურათები და მეწყვილესთან ერთად გაითამაშე დიალოგი.

ამისათვის გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი მასალა: Hello! How are you? I'm OK/fine; What is it? What colour is it? It's ... ფერები: red, yellow, blue, green, orange, purple, pink, brown.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	ნაშრომში და დიალოგის დროს ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
ტექსტი **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)** 1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (*თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე*	**ტექსტი** • კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ჟანრის	• რა არის დიალოგის თემა და ვინ არის შენი ადრესატი **(ტექსტი)**; • რა ფერებია გამოყენებული შენს დავალებაში? რას ჰკითხავ მეწყვილეს, რათა

პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.. 2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს. 3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას. 4. უცხოენოვანი ტექსტების შესწავლა გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენაში. **სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)** 1. სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა); **ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)** 1. უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	გამოყენება; (მკვ.წ.4) • ჟანრის სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვა; (მკვ.წ.1,2) • სიტუაციური ფაქტორების შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა. (მკვ.წ.2,3,4) **სამეტყველო ქმედება** • სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებების მიზნობრივად განხორციელება. (მკვ.წ.1) **ენობრივი საშუალებები** • ახალი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული საკითხების კონტექსტში გამოყენება. (მკვ.წ.1)	დაადგინო, რომელი ფერები გამოიყენა **(სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოეცი ინფორმაცია **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები);**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

<u>ძირითადი რესურსი:</u> სახელმძღვანელო: S.B; W.B; T.B. - Unit 3

<u>მულტიმედიური რესურსები:</u> თემის შესაბამისი ილუსტრირებული ბარათები, პოსტერები, ვიდეო და აუდიო მასალა.

<u>დამატებითი რესურსი:</u>

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
წინარე ცოდნის გააქტიურება, გონებითი და განწყობითი მზაობის შექმნა

მასწავლებელი მიესალმება მოსწავლეებს და აჩვენებს ცისარტყელას სურათს და სთხოვს მოსწავლეებს, ერთი წუთის განმავლობაში დაიმახსოვრონ ფერების თანმიმდევრობა ზემოდან ქვემოთ და ჩამოუთვალონ გვერდით მჯდომ მეგობარს. მეგობარი ფანქრებს გაგონილი თანმიმდევრობით დაალაგებს და ერთად შეამოწმებენ.



- რამდენად სწორად გახსოვს ფერების სახელები ინგლისურ ენაზე?
- რომელი ფერის გამოთქმაა ყველაზე ადვილი?
- რომელი ფერის სახელია ყველაზე გრძელი სიტყვა?
- რომელი ფერის სახელია ყველაზე მოკლე სიტყვა?

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

მასწავლებელი რწმუნდება, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაიგო კომპლექსური დავალების ტიპი, დანიშნულება და შეფასების კრიტერიუმები.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1 (კრიტერიუმი 1-2) რა არის დიალოგის თემა; ვინ არის შენი ადრესატი; რომელი ფერები გამოიყენე შენს დავალებაში; რას ჰკითხავ მეწყვილეს, რათა დაადგინო, რომელი ფერები გამოიყენა დავალების შესასრულებლად.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები
ქვეცნება - სტრატეგიები: ლექსიკის ათვისების, მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გაგების, გრამატიკის.

ლექსიკა:

- რამდენად ზუსტად და უშეცდომოდ გახსოვს ფერების უკვე შესწავლილი სახელები?
- რა დაგეხმარა ფერების ინგლისურ ენაზე დამახსოვრებაში: გაფერადება, სიმღერა თუ ილუსტრაციებზე ფერების დასახელება?
- როგორ ამოიცნობ მოსასმენი ტექსტის საშუალებით, რა წერია დიალოგში/ტექსტში?
- რამდენად დაგეხმარება შესწავლილი ასო-ბგერები დაწერილი სიტყვების ამოცნობაში?
- როგორ ფიქრობ, დაგეხმარება თუ არა შესწავლილი ასო-ბგერები სიტყვების ამოცნობაში?
- თანატოლს როდესაც ვხვდებით, პირველად რას ვეუბნებით/როგორ მოვიკითხავთ? რას უპასუხებ იგივე კითხვაზე მას?

გრამატიკა /ენობრივი ფორმები

- როგორ დასვამ კითხვას: რა ფერია ეს?
- როგორ შეადარებ შენ ნამუშევარს მეწყვილის ნამუშევართან? რა ჰკითხავ?
- რამდენად კარგად გახსოვს კითხვაზე; რა ფერია ეს? უპასუხო: ეს არის...

თამაში: კატეგორიზაცია

- მოვამზადოთ რამდენიმე პატარა ყუთი, რომელზეც ფერები მხოლოდ წარწერების სახით იქნება აღნიშნული;
- ყუთს ექნება პატარა ჭრილი ბარათის ჩასაყრელად;



- დავამზადოთ პატარა ბარათები ფერადი ფურცლებით იმდენი ცალი, რომ თითოეულ მოსწავლეს შეხვდეს 2-3 ფერის ბარათი (სასურველია ბარათებზეც დავაწეროთ ფერის სახელი);
- მოსწავლეები რიგრიგობით ან წყვილებში გამოდიან და ირჩევენ 2-3 ბარათს და აგდებენ შესაბამის ყუთში;
- თამაშის ბოლოს გავხსნით ყუთებს და ვნახავთ, რამდენად სწორად ამოიკითხეს და დაახარისხეს ფერები მოსწავლეებმა;

ნაბიჯი 2 *(კრიტერიუმი 3-4)* **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით; **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოეცი ინფორმაცია.

აქტივობა:

ეფექტური დიალოგის მახასიათებლების გაცნობა: (მისალმება/დამშვიდობება, თანამოსაუბრის მოსმენა, მოკლე და ამომწურავი პასუხის გაცემა მის კითხვაზე, სწორი რეაგირება (ჟესტიკულაცია, მიმიკები), გარკვევით საუბარი...)

აქტივობა:

მეწყვილესთან ერთად დიალოგის გამართვა.

<u>**დამატებითი რესურსი N3:**</u>



აქტივობა:

- კლასის მობილიზება, წყვილების შექმნა;
- რესურსების მობილიზება;
- ცოდნის მობილიზება;
- სურათების გაფერადება და წარწერებზე მუშაობა;
- დიალოგი მეწყვილესთან;
- დიალოგის წარდგენის შემდეგ სამუშაო ეტაპების განხილვა (რა შეცდომებს უშვებ? რა უნდა გააუმჯობესო? როგორ გააუმჯობესებ? რა ხერხს გამოიყენებ ამისთვის? რაზე გჭირდება დამატებით ვარჯიში?)

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

<u>**(შეკითხვების ბანკის სრული ვერსია იხილეთ მატრიცების დასასრულს)**</u>

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?

ახსენი, რატომ შექმენი პრეზენტაცია? რომელი საკითხის ცოდნა გამოხატე კომპლექსური დავალებით?

- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რამდენად ეფექტურად წარადგინე პრეზენტაცია? (მაგ., თუკი საუბრობს პრეზენტაციის მახასიათებლებზე, რამდენად მართებულად გამოიყენა ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკა, მეტყველების არავერბალური ხერხები და ა.შ)
-

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული?

იმისათვის რომ განვსაზღვროთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ თითოეულ ქვესაკითხთან დაკავშირებით, გთავაზობთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ რუბრიკას. რუბრიკაში აღწერილია, რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეს მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით** (დაძლევის) **დონეს.**

სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**
	1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (*თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები*), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის	• დიალოგის გამართვა თანაკლასელთან შესრულებული სამუშაოს შესახებ ფერებზე; • ინტერაქცია, რა ფერებია გამოყენებული მათ დავალებაში;

ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	*დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ..*	• სწორი ინტონაციით საუბარი (მისი საუბარი გასაგებია მეწყვილისთვის); • გაურკვევლობის შემთხვევაში რეპლიკის ან შეკითხვის გამეორება;
	2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს.	შესაბამისი კომუნიკაციის დამყარება: შესავალი, ინფორმაციის გაცვლა, დამშვიდობება
	3.ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას.	დაწერილი სიტყვების ამოკითხვა ილუსტრაციების დახმარებით
სამეტყველო ქმედება (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)	სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა);	• მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება: Hello; Hi; How are you? Goodbye. • ინფორმაციის მოპოვება და გადმოცემა სათამაშოებისა ფერების შესახებ: What colour is it? It's ...
ენობრივი საშუალებები შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	ნასწავლი სიტყვების და გრამატიკული ფორმების საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით გამოყენება დიალოგში. ➢ Colours: red, yellow, blue, green, orange, purple, pink, brown; ➢ What colour is it? It's ...

შუალედური სასწავლო მიზანი N 1

Unit 4 - Counting (Numbers)

თემა - რიცხვები

სამიზნე ცნება	**ქვეცნება**		**ქვესაკითხები**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	**კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი**	თემა, მიზანი, ადრესატი	თემა: ,,რიცხვები“; მიზანი: ციფრების სწორი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში; ადრესატი: თანატოლი.
	დისკურსული ჟანრი	სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტი	პრეზენტაცია
	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება	არავერბალური კომუნიკაციის ზეპირ ტექსტში	ინტონაცია, მახვილი, პაუზა, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი;
სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)	**ფუნქციური სამეტყველო ქმედება**	• ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; • ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ;	• Using social expressions – Hello/Hi; Goodbye. • Giving information - Two and two is …
ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	**ლექსიკა**	• დავალების მიზნის შესაბამისი ლექსიკა-რიცხვითი სახელები; • **ორთოეპია** (მართლმეტყველება):	• Numbers: 1-10 • ბგერები, ბგერათშენაერთები, გამოთქმა, მახვილები, ინტონაცია;
	გრამატიკა	Imperative Question forms	Let's … How many ...?

საკითხი - პრეზენტაცია თემაზე: მარტივი მათემატიკური ოპერაციები

საკვანძო შეკითხვა:

- როგორ/რა ხერხების გამოყენებით ავითვისო მათემატიკურ ოპერაციებთან დაკავშირებული საჭირო ენობრივი მასალა?
- როგორ/რა ხერხების გამოყენებით წარვადგინო შესრულებული დავალება თანაკლასელის წინაშე ?

კომპლექსური დავალება:
ათის ფარგლებში (S.B., Unit 4, p. 33, D) შეადგინეთ მიმატების ოპერაციები რიცხვებით (5 მაგალითი) და გააფორმე შენთვის სასურველი ნახატებით. გადაეცი მაგალითები მეწყვილეს შესასრულებლად და სთხოვე, ზეპირად წარდგენა/პრეზენტირება ინგლისურ ენაზე.

ამისათვის გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი მასალა: Numbers: one, two, three, four, five, six, seven, eight, nine, ten; Let's …; How many ...? მაგ: one and one is two ...;

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები <u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	**შეფასების კრიტერიუმი** <u>მოსწავლეს შეუძლია:</u>	<u>ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</u>
ტექსტი **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)** 1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.. 2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს.	**ტექსტი** • კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ჟანრის გამოყენება; (მკვ.წ.4) • ჟანრის სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვა; (მკვ.წ.1,2) • სიტუაციური ფაქტორების შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა. (მკვ.წ.2,3,4)	• რა არის პრეზენტაციის თემა და მიზანი, ვინ არის შენი მსმენელი **(ტექსტი)**; • რომელი ციფრებია გამოყენებული შენს მაგალითებში; რას უდრის მათი ჯამი **(სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოსცემ ინფორმაციას **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები);**

3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას. 4. უცხოენოვანი ტექსტების შესწავლა გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენაში. **სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)** 1. სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა); **ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)** 1. უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	**სამეტყველო ქმედება** • სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებების მიზნობრივად განხორციელება. (მკვ.წ.1) **ენობრივი საშუალებები** • ახალი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული საკითხების კონტექსტში გამოყენება. (მკვ.წ.1)	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

<u>ძირითადი რესურსი:</u> სახელმძღვანელო: S.B; W.B; T.B. - Unit 4 (lessons 1, 2)

<u>მულტიმედიური რესურსები:</u> თემის შესაბამისი ილუსტრირებული ბარათები, პოსტერები, ვიდეო და აუდიო მასალა.

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
წინარე ცოდნის გააქტიურება, გონებრივი და განწყობითი მზაობის შექმნა

მასწავლებელი დაფაზე დახატავს: 1 ბურთს, 2 ბურთს, 3 ბურთს.... და **დასვამს კითხვებს:**

- გამოიცანით, რა უნდა ვისწავლოთ ამჯერად?
- გიყვართ თუ არა რიცხვები/ანგარიში?
- მიმატება უფრო ადვილია თუ გამოკლება? რატომ?
- იცით თუ არა ინგლისურად დათვლა?

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

მასწავლებელი რწმუნდება, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაიგო კომპლექსური დავალების <u>ტიპი, დანიშნულება და შეფასების კრიტერიუმები.</u>

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1(კრიტერიუმი 1-2). რომელი რიცხვების ცოდნა დაგჭირდება; რამდენად შეგიძლია რიცხვების არათანმიმდევრულად დასახელება; რამდენად დაგეხმარება მათემატიკური ანგარიშის ცოდნა სწორი პასუხის გაცემაში.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები
<u>ქვეცნება -</u> **სტრატეგიები**: ლექსიკის ათვისების, მოსმენილი ტექსტის გაგების, გრამატიკის.

ლექსიკა:

- რამდენად კარგად იცი რიცხვების ინგლისური სახელწოდებები?
- როგორ დაიმახსოვრე ახალი სიტყვები: ხშირად გამეორებით, სიმღერით? რომელია ყველაზე რთულად დასამახსოვრებელი სიტყვა?
- რამდენად შეძლებ დათვალო და არათანმიმდევრულად დაასახელო რიცხვები?
- შეგიძლია დათვალო შენი და შენი მეგობრის ფანქრები/პასტები?
- რამდენად დაგეხმარება სიმღერის შესწავლა სწორი გამოთქმების დამახსოვრებაში?
- როგორ შეეკითხები მეგობარს: „რამდენი ცალია?“ (მაგ: წიგნი)
- როგორ/რამდენად გეხმარება სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციები მოსასმენი ტექსტის/სიმღერის გაგებაში?
- როგორ დავსვათ კითხვები ინგლისური ენისთვის დამახასიათებელი ინტონაციისა და მახვილების დაცვით?

გრამატიკა/ენობრივი ფორმები:

- რას ნიშნავს მშობლიურ ენაზე: „Let's …“ ფრაზა?
- როგორ ეტყვი თანაკლასელს ინგლისურად: „მოდი, დავთვალოთ“
- როგორ გამოითქმის ინგლისურად: „რამდენი ცალი ...?“ შეგიძლია შეეკითხო მეგობარს: „რამდენი ცალი ფანქარია?“

ნაბიჯი 2. (კრიტერიუმი: 3-4) როგორ **გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით; **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოსცემ ინფორმაციას;

<u>აქტივობა</u> - პრეზენტაციის წარდგენისთვის მის მახასიათებლებზე დისკუსია:

- რა დავალება გვაქვს წარსადგენი, დიალოგი თუ პრეზენტაცია?
- რას ეხება წარსადგენი პრეზენტაცია?
- რა მახასიათებლები აქვს პრეზენტაციას?
- რატომაა საჭირო მეტყველებისას სიტყვების სწორად გამოთქმაზე დაფიქრება? მიმიკა-ჟესტიკულაციაზე დაფიქრება?

თანაკლასელის შექმნილი მათემატიკური ოპერაციების შესრულება და ნამუშევრის წარდგენა

აქტივობა:

- მაგალითების მოფიქრება;
- საპრეზენტაციო ფურცლის გაფორმება ილუსტრაციებით;
- ურთიერთშეფასების მიზნით რუბრიკის (checklist) შედგენა და წესების გაცნობა;

- კლასის დაყოფა წყვილებად;
- მაგალითების გადაცვლა წყვილებში და შესრულებული მაგალითების წარდგენა;
- შეფასების რუბრიკაზე დაყრდნობით ურთიერთშეფასება და ხარვეზების გასწორება/რეკომენდაციების მიცემა;
- პრეზენტაციის შემდეგ განვლილი სამუშაო ეტაპების განხილვა (რა შეცდომებს უშვებ? რა უნდა გააუმჯობესო? როგორ გააუმჯობესებ? რა ხერხს გამოიყენებ ამისთვის? რაზე გჭირდება დამატებით ვარჯიში?)

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

(შეკითხვების ბანკის სრული ვერსია იხილეთ მატრიცების დასასრულს)

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი:

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?

ახსენი, რატომ შექმენი პრეზენტაცია? რომელი საკითხის ცოდნა გამოხატე კომპლექსური დავალებით?

- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რამდენად ეფექტურად წარადგინე პრეზენტაცია? (მაგ., თუკი საუბრობს პრეზენტაციის მახასიათებლებზე, რამდენად მართებულად გამოიყენა ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკა, მეტყველების არავერბალური ხერხები და ა.შ)

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნდოვან საკითხებში?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული?

იმისათვის რომ განვსაზღვროთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ თითოეულ ქვესაკითხთან დაკავშირებით, გთავაზობთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ რუბრიკას. რუბრიკაში აღწერილია, რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეს მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით** (დაძლევის) **დონეს.**

სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ..	• პრეზენტაციის წარდგენა შესრულებული მათემატიკური ოპერაციების შესახებ; • ათის ფარგლებში მათემატიკური მაგალითების შექმნა მეწყვილესთან კომუნიკაციის დასამყარებლად; • მსმენელების დაინტერესება, მათთან ვიზუალური კონტაქტი
	2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); ყველა მათგანს კი თავისებური აგებულება აქვთ.	პრეზენტაციის აგებულების გათვალისწინება (მისალმება, თემის წარდგენა, მადლობის გადახდა)
სამეტყველო ქმედება (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)	სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა);	• მისალმება, დამშვიდობება: Hello; Hi; Goodbye. • ინფორმაციის გადმოცემა რიცხვების შესახებ: Two are two is ...;
ენობრივი საშუალებები შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	წარდგენის დროს ნასწავლი სიტყვების და გრამატიკული ფორმების საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით გამოყენება: ➢ Numbers: 1-10; Let's count … How many ...?

შუალედური სასწავლო მიზანი N 2

Unit 4 - Counting (Numbers)

თემა - რიცხვები

სამიზნე ცნება	**ქვეცნებები**		**ქვესაკითხები**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	**კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი**	თემა, მიზანი ადრესატი	თემა: ,,რიცხვები“ მიზანი: დიალოგი თანატოლების გაცნობის და თამაშში ჩართვის მიზნით; ადრესატი: თანაკლასელები;
	დისკურსული ჟანრი	სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტი	დიალოგი
	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება დიალოგში	• ინტონაცია, მახვილი, პაუზა, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი;
სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)	**ფუნქციური სამეტყველო ქმედება**	• ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; • ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ;	• Using social expressions – Hello/Hi; Thank you; Goodbye; • Introducing oneself - I'm …; • Asking and giving information -What's your name? What do you have? I have a … How old are you? Let's … How many?
ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	**ლექსიკა**	• დავალების თემის შესაბამისი ლექსიკა-რიცხვითი სახელი; • **ორთოეპია** (მართლმეტყველება):	• Numbers: 1-10 How old are you? • უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ბგერები, ბგერათშენაერთები, გამოთქმა, მახვილები, ინტონაცია;
	გრამატიკა		Let's … How many ...?

საკითხი - დიალოგი პარკში თემაზე: გაცნობა და კლასობანას თამაში

საკვანძო შეკითხვა:

- როგორ/რა ხერხების გამოყენებით ავითვისო დიალოგი გასათამაშებლად საჭირო ენობრივი მასალა?
- როგორ/რა ხერხების გამოყენებით დავსვა კითხვები და მოვამზადო პასუხები თანატოლების გაცნობის მიზნით?

კომპლექსური დავალება:
წარმოიდგინე სიტუაცია, რომელიც სახელმძღვანელოს 34-ე გვერდზე, A დავალებაში გამოსახულის მსგავსია. სკვერში ბავშვები თამაშობენ „კლასობანას“ და შენც გინდა ჩაერთო თამაშში, მაგრამ პირველ რიგში, უნდა გაიცნო ისინი. გაითამაშეთ ეს სცენა თანაკლასელებთან ერთად.
ამისათვის გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი მასალა: Hello! What's your name? How are you? How old are you? I am…; Thank you; Goodbye.
Numbers: one, two, three, four, five, six, seven, eight, nine, ten; Let's play… Hopscotch

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები <u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	**შეფასების კრიტერიუმი** <u>მოსწავლეს შეუძლია:</u>	<u>დიალოგში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>
ტექსტი **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)** 1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ	**ტექსტი** • კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ჟანრის გამოყენება; (მკვ.წ.4) • ჟანრის სტრუქტურული და შინაარსობრივი	• ვინ არის შენი მსმენელი **(ტექსტი)**; • საუბრის თემა - გაცნობის მიზნით რა გაინტერესებს თანატოლების შესახებ: სახელი, ასაკი, როგორ გრძნობენ თავს; რა ფორმით შესთავაზებ თამაშში ჩართვის სურვილს **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);**

ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.. 2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს. 3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას. 4. უცხოენოვანი ტექსტების შესწავლა გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენაში. **სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)** 1. სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა); **ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)** 1. უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	მახასიათებლების დაცვა; (მკვ.წ.1,2) • სიტუაციური ფაქტორების შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა. (მკვ.წ.2,3,4) **სამეტყველო ქმედება** • სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებების მიზნობრივად განხორციელება. (მკვ.წ.1) **ენობრივი საშუალებები** • ახალი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული საკითხების კონტექსტში გამოყენება. (მკვ.წ.1)	• **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოეცი ინფორმაცია **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები);**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
<u>ძირითადი რესურსი:</u> სახელმძღვანელო: S.B; W.B; T.B. - Unit 4 (lesson 3)

<u>მულტიმედიური რესურსები:</u> თემის შესაბამისი ილუსტრირებული ბარათები, პოსტერები , ვიდეო და აუდიო მასალა.

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
წინარე ცოდნის გააქტიურება, გონებითი და განწყობითი მზაობის შექმნა

მასწავლებელი დაფაზე ხატავს „კლასობანას“ კვადრატებს და ჩაწერს რიცხვებს.

ამის შემდეგ სვამს კითხვებს:

- იცით თუ არა, რა არის ეს?
- გითამაშიათ თუ არა „ კლასობანა“? სად?
- რა გჭირდებათ იმისათვის, რომ კლასობანა ვითამაშოთ?

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

მასწავლებელი რწმუნდება, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაიგო კომპლექსური დავალების <u>ტიპი, დანიშნულება და შეფასების კრიტერიუმები.</u>

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1 (კრიტერიუმი 1-2) ვინ არის შენი მსმენელი; საუბრის თემა - გაცნობის მიზნით რა გაინტერესებს თანატოლების შესახებ: სახელი, ასაკი, როგორ გრძნობენ თავს; რა ფორმით შესთავაზებ თამაშში ჩართვის სურვილს.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები
<u>ქვეცნება -</u> სტრატეგიები: ლექსიკის ათვისების, მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გაგების, გრამატიკის.

ლექსიკა:

- როგორ ამოიცნობ მოსმენილი დიალოგებისა და ილუსტრაციების საშუალებით კომიქსში წარმოდგენილ ტექსტს?
- დაგეხმარება თუ არა უკვე შესწავლილი ასო-ბგერები სიტყვების ამოცნობაში?
- გაცნობის მიზნით რა სიტყვები და ფრაზები გჭირდება?
- როგორ უპასუხებ შეკითხვას: „რამდენი წლის ხარ?“
- როგორ იკითხავ: „რამდენი წლის ხარ?“
- რამდენად დაგეხმარება სიმღერა შესასწავლი ფრაზების სწორად დამახსოვრებაში?

გრამატიკა /ენობრივი ფორმები

- რა შემთხვევაში ვიყენებთ ფრაზებს: „Let’s count“; „Let’s play...“?
- შეგიძლია დასვა კითხვა: „რამდენი ბიჭი? რამდენი გოგო?“

ნაბიჯი 2 *(კრიტერიუმი 3-4)* **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით; **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოეცი ინფორმაცია.

დიალოგის გამართვა და კლასობანას თამაში

აქტივობა: მასწავლებელი სვამს შემდეგ კითხვებს:

- რა არის დიალოგი?
- რა მახასიათებლები აქვს ეფექტურ, საინტერესო დიალოგს (მისალმება, საკუთარი თავის წარდგენა)?
- რატომაა საჭირო მეტყველებისას სიტყვების სწორად გამოთქმაზე დაფიქრება? მიმიკა-ჟესტიკულაციაზე დაფიქრება?
- კლასობანას თამაშისთვის რა დაგვჭირდება?
- გახსოვთ თუ არა თამაშის წესები?

აქტივობა:

- მობილიზება, ჯგუფების შექმნა;
- როლების განაწილება და თამაშისთვის გარემოს მომზადება;
- ცოდნის მობილიზება;
- რეპეტიციის გავლა;
- დიალოგის წარდგენა;
- წარდგენის შემდეგ სამუშაო ეტაპების განხილვა (რა შეცდომებს უშვებ? რა უნდა გააუმჯობესო? როგორ გააუმჯობესებ? რა ხერხს გამოიყენებ ამისთვის? რაზე გჭირდება დამატებით ვარჯიში?)

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

(შეკითხვების ბანკის სრული ვერსია იხილეთ მატრიცების დასასრულს)

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი:

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?

ახსენი, რატომ შექმენი პრეზენტაცია? რომელი საკითხის ცოდნა გამოხატე კომპლექსური დავალებით?

- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რამდენად ეფექტურად წარადგინე პრეზენტაცია? (მაგ., თუკი საუბრობს პრეზენტაციის მახასიათებლებზე, რამდენად მართებულად გამოიყენა ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკა, მეტყველების არავერბალური ხერხები და ა.შ)

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული?

იმისათვის რომ განვსაზღვროთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ თითოეულ ქვესაკითხთან დაკავშირებით, გთავაზობთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ რუბრიკას. რუბრიკაში აღწერილია, რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეს მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით** (დაძლევის) **დონეს.**

სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა	• დიალოგის წარმართვა თემაზე: გაცნობა და კლასობანას თამაში; • ინტერაქცია, გაცნობის მიზნით, დაინტერესების

	გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ..	გამოხატვა: სახელი, ასაკი, როგორ გრძნობენ თავს; • არავერბალური კომუნიკაციის საშუალებების სწორად გამოყენება: ინტონაცია, მახვილი, პაუზა, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი; • მსმენელების დაინტერესება, მათთან ვიზუალური კონტაქტი;
	2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); ყველა მათგანს კი თავისებური აგებულება აქვთ.	დიალოგის აგებულების გათვალისწინება (მისალმება, ინტერაქციაში ჩართვა,შეკითხვების დასმა, რეპლიკა, მადლობის გადახდა)
სამეტყველო ქმედება (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)	სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ.,თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა);	წარდგენის დროს ნასწავლი სიტყვების და კონსტრუქციები სწორად გამოყენება საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით: ➢ Numbers: 1-10; ➢ How old are you? ➢ Let's play... ➢ What do you have? ➢ I have a … ➢ How old are you? ➢ Let's play… ➢ How many?
ენობრივი საშუალებები შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	წარდგენის დროს ნასწავლი სიტყვების და გრამატიკული ფორმების საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით გამოყენება: ➢ Numbers: 1-10; Let's count… How many..?

შუალედური სასწავლო მიზანი N 1

Unit 5 - Animals

თემა - ცხოველები

სამიზნე ცნება	**ქვეცნება**		**ქვესაკითხები**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	**კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი**	თემა, მიზანი, ადრესატი	თემა: ,,ცხოველები“ მიზანი: შინაური და ფერმის ცხოველების აღწერა; (pets and farm animals) ადრესატი: თანაკლასელები
	დისკურსული ჟანრი	სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტი	პრეზენტაცია
	ტექსტის სტრუქტურა	მაორგანიზებელი ვერბალური და არავერბალური ელემენტების განლაგება წერილობით ტექსტში	ილუსტრაციები; ბარათებზე გაკეთებული ცხოველთა დასახელებები
სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)	**ფუნქციური სამეტყველო ქმედება**	ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად	• Using social expressions: Hello; Thank you; Goodbye; • Giving information about animals.
ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	**ლექსიკა**	• დავალების თემის შესაბამისი ლექსიკა-არსებითი სახელები (Nouns) • **ორთოეპია** (მართლმეტყველება): • **მართლწერა**	• Pets and farm animals: duck, dog, cat, rabbit, horse, cow, goat, bird; • ბგერები, ბგერათშენაერთები, გამოთქმა, მახვილები, ინტონაცია; • ასოები, ასოთშენაერთები, მთავრული/არამთავრული ასოები.
	გრამატიკა	Plurals of nouns:	Plurals with -s

<table>
<tr><td colspan="3">საკითხი: ცხოველების თემაზე შექმნილი ბარათების პრეზენტაცია

საკვანძო შეკითხვა:
• როგორ/რა ხერხების გამოყენებით ავითვისო ბარათების წარსადგენად საჭირო ენობრივი მასალა?
• როგორ/რა ხერხების გამოყენებით წარმოვადგინო პრეზენტაცია ცხოველების თემაზე?

კომპლექსური დავალება:
გამოძერწე რამდენიმე ცხოველი ან დახატე სახელმძღვანელოს 42-ე გვერდზე B დავალებაში წარმოდგენილის მსგავსი ნახატი და პრეზენტაციის დახმარებით გააცანი თანაკლასელებს.

ამისათვის გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი მასალა:
Numbers: one, two, three, four, five, six, seven, eight, nine, ten.
Pet and farm animals: bird/birds, rabbit/rabbits, cat/cats, dog/dogs, cow/cows, horse/horses, goat/goats, duck/ducks.</td></tr>
<tr><td>სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები

<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u></td><td>შეფასების კრიტერიუმი

<u>მოსწავლეს შეუძლია:</u></td><td><u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u></td></tr>
<tr><td>ტექსტი
(შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)

1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.

2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს.</td><td>ტექსტი

• კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ჟანრის გამოყენება; (მკვ.წ.4)
• ჟანრის სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვა; (მკვ.წ.1,2)
• სიტუაციური ფაქტორების შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა. (მკვ.წ.2,3)</td><td>• პრეზენტაციის თემა - რომელი ცხოველები დახატე/გამოძერწე; არიან თუ არა შენი ცხოველები თითო დახატე თუ ბევრი (მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი) (ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);
• როგორ გამოიყენე ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით (ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);</td></tr>
</table>

3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას. 4. უცხოენოვანი ტექსტების შესწავლა გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენაში. **სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)** 1. სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა); **ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)** 1. უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	**სამეტყველო ქმედება** • სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებების მიზნობრივად განხორციელება. (მკვ.წ.1) **ენობრივი საშუალებები** • ახალი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული საკითხების კონტექსტში გამოყენება. (მკვ.წ.1)	• **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოეცი ინფორმაცია **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები);**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
<u>ძირითადი რესურსი:</u> სახელმძღვანელო: S.B; W.B; T.B. - Unit 5 (lessons 1, 2)

<u>მულტიმედიური რესურსები:</u> თემის შესაბამისი ილუსტრირებული ბარათები, პოსტერები, ვიდეო და აუდიო მასალა.

<u>დამატებითი რესურსი:</u>



ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
წინარე ცოდნის გააქტიურება, გონებრივი და განწყობითი მზაობის შექმნა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს პოსტერს ცხოველების თემატიკაზე:

- გთხოვთ, ამოიცნოთ ცხოველები და ინგლისურ ენაზე დათვალოთ ისინი;
- გიყვართ თუ არა ცხოველები?
- გყავთ თუ არა შინაური ცხოველები?
- სოფელში რომელი ცხოველები გინახავთ?
- თქვენი ნება რომ იყოს, რომელი შინაური ცხოველი გეყოლებოდათ და რამდენი?

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

მასწავლებელი რწმუნდება, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაიგო კომპლექსური დავალების <u>ტიპი, დანიშნულება და შეფასების კრიტერიუმები.</u>

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. (კრიტერიუმი1) პრეზენტაციის თემა - რომელი ცხოველები დახატე ბარათებზე; არის თუ არა შენს ბარათებზე გამოყენებული ცხოველები როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები
ქვეცნება - სტრატეგიები: ლექსიკის ათვისების, მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გაგების, გრამატიკის.

ლექსიკა:

- რომელი ცხოველებია შინაური ცხოველები და რომელი - ფერმის?
- რამდენად ზუსტად დაიმახსოვრე როგორ გამოითქმის ისინი და რა დაგეხმარა სწორი გამოთქმების დამახსოვრებაში: სიმღერა, ხშირი გამეორება, ამოკითხვა?
- რამდენად შეგიძლია, გაგონილი სიტყვებიდან სწორად იპოვო ილუსტრაციაში შესაბამისი ნახატი?
- შეგიძლია ილუსტრაციაში ხმამაღლა დათვალო ცხოველები?
- რამდენად დაგეხმარება სიმღერის შესრულება ცხოველების დათვლაში?
- შეკითხვაზე: „how many cats?“ ილუსტრაციაზე დაკვირვებით შეძლებ სწორად უპასუხო?
- შენ თუ შეგიძლია თანაკლასელს ჰკითხო: „რამდენი კატა?“
- შეგიძლია ამოიკითხო წარწერები ცხოველების ნახატების ქვეშ?
- თავად თუ შეგიძლია გადაწერო ეს სიტყვები ფურცელზე/ბარათზე?

გრამატიკა /ენობრივი ფორმები

- რამდენად შეგიძლია ამოიცნო, გაგონილი სიტყვა მხოლობით რიცხვშია თუ მრავლობითში?
- როგორ ამოიცნობ მრავლობით რიცხვს ინგლისურ ენაში?

დამატებითი აქტივობა: თამაში
მასწავლებელი ასახელებს ფრაზებს რიგის მიხედვით ან არეულად, მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ და შემოხაზონ სწორი პასუხები. ამის შემდეგ გადაამოწმონ მეწყვილესთან. დასასრულს, ილუსტრაციებს გააფერადებენ და ისაუბრებენ ცხოველების შესახებ

იხ. დამატებითი რესურსი N4

ნაბიჯი 2 *(კრიტერიუმი 2-3)* **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით; **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოეცი ინფორმაცია.

ბარათების შექმნა, წარწერების გაკეთება და წარდგენა

აქტივობა: ბარათებისა და პრეზენტაციისთვის მოსამზადებელი საორგანიზაციო მსჯელობა

- როგორ მოვამზადოთ რესურსები?
- რომელი ცხოველები დავხატოთ და რამდენი?
- როგორ გავუკეთოთ წარწერები?
- როგორ გავაკეთოთ პრეზენტაცია? რა მახასიათებლები აქვს მას?
- რატომაა საჭირო მეტყველებისას სიტყვების სწორად გამოთქმაზე დაფიქრება? მიმიკა-ჟესტიკულაციაზე დაფიქრება?

აქტივობა:

- რესურსების მობილიზება;
- ცოდნის მობილიზება;
- ბარათების დახატვა და წარწერების დატანა;
- პრეზენტაცია;
- პრეზენტაციის შემდეგ სამუშაო ეტაპების განხილვა (რა შეცდომებს უშვებ? რა უნდა გააუმჯობესო? როგორ გააუმჯობესებ? რა ხერხს გამოიყენებ ამისთვის? რაზე გჭირდება დამატებით ვარჯიში?)

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

(შეკითხვების ბანკის სრული ვერსია იხილეთ მატრიცების დასასრულს)

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი:

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?

ახსენი, რატომ შექმენი პრეზენტაცია? რომელი საკითხის ცოდნა გამოხატე კომპლექსური დავალებით?

- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რამდენად ეფექტურად წარადგინე პრეზენტაცია? (მაგ., თუკი საუბრობს პრეზენტაციის მახასიათებლებზე, რამდენად მართებულად გამოიყენა ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკა, მეტყველების არავერბალური ხერხები და ა.შ)

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნდოვან საკითხებში?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდათ ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული?

იმისათვის რომ განვსაზღვროთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ თითოეულ ქვესაკითხთან დაკავშირებით, გთავაზობთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ რუბრიკას. რუბრიკაში აღწერილია, რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეს მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით** (დაძლევის) **დონეს.**

სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ..	• შინაური და ფერმის ცხოველების თემაზე გამოძერწილ ცხოველების ან ნახატის პრეზენტაცია; • აღწერა, რომელი ცხოველებია; არის თუ არა გამოყენებული ცხოველები როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში; • მსმენელების დაინტერესება, მათთან ვიზუალური კონტაქტი
	2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს თავისებური აგებულება აქვს.	პრეზენტაციის აგებულების გათვალისწინება (მისალმება, თემის წარდგენა, მადლობის გადახდა)
სამეტყველო ქმედება (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)	სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა);	• მისალმება, მადლობის გადახდა დამშვიდობება: Hello; Hi; Thank you; Goodbye. • ინფორმაციის გადმოცემა ცხოველების შესახებ
ენობრივი საშუალებები შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	ნასწავლი სიტყვების და კონსტრუქციების გამოყენება საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით: ➢ Pets and farm animals: duck, dog, cat, rabbit, horse, cow, goat, bird; ➢ Plural nouns: -s: dog/dogs; cat/cats...

შუალედური სასწავლო მიზანი N 2

Unit 5 - Animals

თემა - ცხოველები

სამიზნე ცნება	**ქვეცნებები**		**ქვესაკითხები**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	**კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი**	თემა, მიზანი	თემა: ,,ცხოველები“ მიზანი: სურათების და ასოების გამოყენებით სიტყვების აწყობა;
	დისკურსული ჟანრი	პრაგმატული ტექსტი	თავსატეხი
	ტექსტის სტრუქტურა	• მაორგანიზებელი ვერბალური და არავერბალური ელემენტების განლაგება წერილობით ტექსტში; • ვიზუალური ეფექტები	ილუსტრაცია შრიფტი
სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)	**ფუნქციური სამეტყველო ქმედება**	• ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში • ინტერაქცია ქმედებებსა და საქმიანობებზე	• Using social expressions: Hello; Thank you; Goodbye; • Asking for help: please; help me; Sure.
ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	**ლექსიკა**	• დავალების თემის შესაბამისი ლექსიკა-ფერები • **მართლწერა**	• Pets and farm animals: duck, dog, cat, rabbit, horse, cow, goat, bird; • ასოები, ასოთშენაერთები, მთავრული/არამთავრული ასოები.
	გრამატიკა	Plurals of nouns:	Plurals with -s

საკითხი: თავსატეხი თემაზე: შინაური და ფერმის ცხოველები

საკვანძო შეკითხვა:

- **საკვანძო შეკითხვა**: როგორ/რა ხერხების გამოყენებით ამოვხსნა ,,თავსატეხი“?
- როგორ ავაწყო და დავწერო სიტყვები სწორად და გარკვევით მოცემული სურათების და ასოების მიხედვით?

კომპლექსური დავალება:



	tasc	_____
	odg	_____
	owc	_____
	brdi	_____
	orseh	_____
	abibtr	_____
	ckuds	_____

მოცემული ნახატების დახმარებით ამოიცანი, რომელი სიტყვებია დამალული არეულ ასოებში და ეცადე დაასახელო (დაწერო) ისინი სწორად. დავალების შესასრულებლად გაეცანი და გამოიყენე სახელმძღვანელოს მე-40 და 42-ე გვერდებზე, A დავალებებში მოცემული სიტყვები. დასახმარებლად შეგიძლია მიმართო მასწავლებელს.

ამისათვის გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი მასალა:
Pet and farm animals (sing. or pl.): bird/birds, rabbit/rabbits, cat/cats, dog/dogs, cow/cows, horse/horses, goat/goats, duck/ducks.
გამონათქვამები: Please, help me! Sure!

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	ნაშრომში/ნაშრომზე მუშაობისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

ტექსტი **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)** 1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.. 2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს. 3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას. 4. უცხოენოვანი ტექსტების შესწავლა გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენაში. **სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)** 1. სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა);	**ტექსტი** • კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ჟანრის გამოყენება; (მკვ.წ.4) • ჟანრის სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვა; (მკვ.წ.1,2) • სიტუაციური ფაქტორების შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა. (მკვ.წ.2,3) **სამეტყველო ქმედება** • სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებების მიზნობრივად განხორციელება. (მკვ.წ.1)	• რა სიტყვებია დამალული თავსატეხში; რომელი შინაური და ფერმის ცხოველების აღმნიშვნელი სიტყვების ცოდნა დაგეხმარება თავსატეხის ამოხსნაში; რომელი ასოების წერილობითი ფორმები გჭირდება დავალების შესასრულებლად **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორი** სტრუქტურა აქვს თავსატეხს, როგორ გაანაწილე ვერბალური და არავერბალური ელემენტები **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ გამოიყენე ნასწავლი** გამონათქვამები, სიტყვები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო მიზნის გათვალისწინებით **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები);**

ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6) 1. უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	**ენობრივი საშუალებები** • ახალი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული საკითხების კონტექსტში გამოყენება. (მკვ.წ.1)	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
<u>ძირითადი რესურსი:</u> სახელმძღვანელო: S.B; W.B; T.B. - Unit 5

<u>მულტიმედიური რესურსები:</u> თემის შესაბამისი ილუსტრირებული ბარათები, პოსტერები , ვიდეო და აუდიო მასალა.

<u>დამატებითი რესურსი N5</u>.

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
წინარე ცოდნის გააქტიურება, გონებრივი და განწყობითი მზაობის შექმნა

მასწავლებელი დაფაზე არეულად წერს ასო-ბგერებს და რიცხვებს და ეკითხება მოსწავლეებს, რიცხვების დალაგება სწორი თანმიმდევრობით თუ დაეხმარებათ სიტყვების ამოცნობაში. მაგ: l-l-b-a (3-4-1-2), p-n-e (1-3-2), t-a-c (3-2-1). (პასუხია: ball, pen, cat)

- რა არის თავსატეხი?
- ამოგიხსნიათ თუ არა თავსატეხი? რა სახის თავსატეხი შეგხვედრიათ ან ამოგიხსნიათ?
- რამდენად სახალისოა თავსატეხის ამოხსნა?

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

მასწავლებელი რწმუნდება, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაიგო კომპლექსური დავალების <u>ტიპი, დანიშნულება და შეფასების კრიტერიუმები.</u>

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1 (კრიტერიუმი 1) თავსატეხის თემა: რა სიტყვებია დამალული თავსატეხში; რომელი შინაური და ფერმის ცხოველების აღმნიშვნელი სიტყვების ცოდნა დაგეხმარება თავსატეხის ამოხსნაში; რომელი ასოების წერილობითი ფორმები გჭირდება დავალების შესასრულებლად.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები

ქვეცნება - სტრატეგიები: ლექსიკის ათვისების, მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გაგების, გრამატიკის.

ლექსიკა/ენობრივი ფორმები:

- რამდენად გახსოვს შინაური და ფერმის ცხოველების აღმნიშვნელი სიტყვები ინგლისურ ენაზე?
- როგორ დაგამახსოვრდა ახალი სიტყვები, რომელზე გჭირდება დამატებითი მუშაობა და რა ხერხებს გამოიყენებ მათ დასამახსოვრებლად?
- როგორ გეხმარება ილუსტრაციები სიტყვების წერილობითი გამოსახულების გახსენებაში?
- როგორ დავიმახსოვროთ სიტყვაში შემავალი ასო-ბგერები?
- რატომ არის მნიშვნელოვანი სიტყვის სწორად დაწერა?
- როგორ დავიმახსოვრო სიტყვის წერილობითი გამოსახულება?
- როგორ/რამდენად ახერხებთ, რომ თქვენი გადახატული ასოები და აწყობილი სიტყვა გარკვევით და გასაგებად იკითხებოდეს?

ნაბიჯი 2 *(კრიტერიუმი 2-3)* **როგორი** სტრუქტურა აქვს თავსატეხს; **როგორ** გაანაწილე ვერბალური და არავერბალური ელემენტები; **როგორ გამოიყენე ნასწავლი** გამონათქვამები, სიტყვები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო მიზნის გათვალისწინებით.

რესურსი:



	tasc	_____
	odg	_____
	owc	_____
	brdi	_____
	orseh	_____
	abibtr	_____
	ckuds	_____

აქტივობა: მასწავლებელი მართავს **დისკუსიას** შემდეგ საკითხებზე:

- როგორ დავალაგოთ ასოები სწორი თანმიმდევრობით ისე, რომ მივიღოთ ასაწყობი სიტყვა?
- რამდენად ახერხებ სიტყვების სწორად აწყობას? რა ხერხს/რა სტრატეგიას მიმართავ ამისათვის?
- როგორ მიმართავ მეგობარს, თუკი გაგიჭირდება თავსატეხის დამოუკიდებლად შესრულება? რომელ ფრაზებს გამოიყენებ?

აქტივობა:

- ცოდნის მობილიზება;
- დავალების დარიგება და შესრულება;
- დავალების შესრულების შემდეგ სამუშაო ეტაპების განხილვა (რა შეცდომებს უშვებ? რა უნდა გააუმჯობესო? როგორ გააუმჯობესებ? რა ხერხს გამოიყენებ ამისთვის? რაზე გჭირდება დამატებით ვარჯიში?)

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

(შეკითხვების ბანკის სრული ვერსია იხილეთ მატრიცების დასასრულს)

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი:

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?

ახსენი, რატომ შექმენი პრეზენტაცია? რომელი საკითხის ცოდნა გამოხატე კომპლექსური დავალებით?

- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რამდენად ეფექტურად წარადგინე პრეზენტაცია? (მაგ., თუკი საუბრობს პრეზენტაციის მახასიათებლებზე, რამდენად მართებულად გამოიყენა ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკა, მეტყველების არავერბალური ხერხები და ა.შ)

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნდოვან საკითხებში?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული?

იმისათვის რომ განვსაზღვროთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ თითოეულ ქვესაკითხთან დაკავშირებით, გთავაზობთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ რუბრიკას. რუბრიკაში აღწერილია, რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეს მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით** (დაძლევის) **დონეს.**

სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია(თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ..	• თავსატეხის შესრულება თემაზე: შინაური და ფერმის ცხოველები; • ამოცნობა, რა სიტყვებია დამალული თავსატეხში; შინაური და ფერმის ცხოველების აღმნიშვნელი სიტყვების წერილობითი ფორმების გამოყენება; • კომუნიკაციის დამყარება დახმარების მისაღებად
	2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს.	მაორგანიზებელი ვერბალური და არავერბალური ელემენტების სწორად განლაგება წერილობით ტექსტში: შრიფტი, მთავრული და არამთავრული ასოები.
	3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას.	წერილობითი ხატების დამახსოვრებით შესწავლილი ლექსიკური თემატიკის ფარგლებში სიტყვების დაწერა
სამეტყველო ქმედება (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)	სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა);	• მისალმება, მადლობის გადახდა დამშვიდობება: Hello; Hi; Thank you; Goodbye. • დახმარების თხოვნა და მიღება: please; help me; Sure.
ენობრივი **საშუალებები** შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	ნასწავლი სიტყვების და კონსტრუქციების გამოყენება საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით: ➢ Pets and farm animals: duck, dog, cat, rabbit, horse, cow, goat, bird; ➢ Plural nouns: -s: dog/dogs; cat/cats...

შუალედური სასწავლო მიზანი N 1

Unit 6 - Lunch (Food)

თემა - საკვები

სამიზნე ცნება	**ქვეცნებები**		**ქვესაკითხები**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	**კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი**	თემა, მიზანი, ადრესატი	თემა: ,,საკვები“; მიზანი: საუბარი კვების თემაზე; ადრესატი: თანატოლები.
	დისკურსული ჟანრი	სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტი	პრეზენტაცია
	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება პრეზენტაციაში	ინტონაცია, მახვილი, პაუზა, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი;
სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)	**ფუნქციური სამეტყველო ქმედება**	• ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; • ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ;	• Using social expressions - Hello; Goodbye; Thank you; • Giving information - I'm ...; I like ...; I don't like ...;
ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	**ლექსიკა**	• დავალების თემის შესაბამისი ლექსიკა-არსებითი სახელები; • **ორთოეპია**	• Words of food: milk, water, bread, candy, rice, beans, chicken, fish; • (მართლმეტყველება): უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ბგერები, ბგერათშენაერთები, გამოთქმა, მახვილები, ინტონაცია;
	გრამატიკა	Understanding the 1st person of the verb "to like" **(present simple-positive and negative)**	I like ...; I don't like ...

საკითხი - ნახატის პრეზენტაცია თემაზე: საკვები

საკვანძო შეკითხვა:

- როგორ/რა ხერხების გამოყენებით ავითვისო პრეზენტაციისთვის გასამართად საჭირო ენობრივი მასალა?
- როგორ/რა ხერხების გამოყენებით წარვადგინო ჩემ მიერ დახატული საკვები პროდუქტები საპრეზენტაციოდ?

კომპლექსური დავალება: დახატე „კვების თეფში“ (სახელმძღვანელო, გვ 48 და 50, დავ. A), გამოსახე 5-6 დასახელების საკვები და ნახატი კლასს წარუდგინე. **ამისათვის გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი მასალა:** Words of food: milk, water, bread, candy, rice, beans, chicken, fish; და გრამატიკული ფორმები: I like ...; I don't like ...		
სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები <u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	**შეფასების კრიტერიუმი** <u>მოსწავლეს შეუძლია:</u>	<u>პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</u>
ტექსტი **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)** 1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.. 2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს. 3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას.	**ტექსტი** • კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ჟანრის გამოყენება; (მკვ.წ.4) • ჟანრის სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვა; (მკვ.წ.1,2) • სიტუაციური ფაქტორების შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა. (მკვ.წ.2,3)	• პრეზენტაციის თემა: რომელი კერძებია გამოსახული შენს ნახატზე და რატომ აარჩიე ისინი; რომელი საჭმელი გიყვარს; რომელი არ გიყვარს; **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ გამოიყენე** საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით სათანადოდ შერჩეული გამონათქვამები, სიტყვები, ეტიკეტი, გრამატიკული ფორმები **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოსცემ ინფორმაციას **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები);**

4. უცხოენოვანი ტექსტების შესწავლა გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენაში. **სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)** 1. სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა); **ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)** 1. უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	**სამეტყველო ქმედება** • სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებების მიზნობრივად განხორციელება. (მკვ.წ.1) **ენობრივი საშუალებები** ახალი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული საკითხების კონტექსტში გამოყენება. (მკვ.წ.1)	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
<u>**ძირითადი რესურსი:**</u> სახელმძღვანელო: S.B; W.B; T.B. - Unit 6 (lessons 1, 2)

<u>**მულტიმედიური რესურსები:**</u> თემის შესაბამისი ილუსტრირებული ბარათები, პოსტერები, ვიდეო და აუდიო მასალა.

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
წინარე ცოდნის გააქტიურება, გონებრივი და განწყობითი მზაობის შექმნა

მასწავლებელი მშობლიურ ენაზე ესაუბრება მოსწავლეებს კვების მნიშვნელობის შესახებ და მართავს დისკუსიას შემდეგ საკითხებზე:

- რა იცით საკვების მნიშვნელობის შესახებ?
- რა ინფორმაცია გაქვთ ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებით?
- გაქვთ თუ არა საყვარელი საჭმელი? რომელია ის?
- სკოლაში თუ მიირთმევთ საჭმელს? რას?

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

მასწავლებელი რწმუნდება, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაიგო კომპლექსური დავალების ტიპი, დანიშნულება და შეფასების კრიტერიუმები.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1 (კრიტერიუმი 1-2) პრეზენტაციის თემა: რომელი კერძებია გამოსახული შენს ნახატზე და რატომ აარჩიე სწორედ ისინი.
სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები
ქვეცნება - სტრატეგიები: ლექსიკის ათვისების, მოსმენილი ტექსტის გაგების, გრამატიკის.

ლექსიკა:

- რა სიტყვების, რა ენობრივი მასალის/შესწავლა დაგჭირდებათ კვების თემაზე სასაუბროდ?
- რას მიირთმევთ ყველაზე ხშირად? როგორია თქვენი საყვარელი საჭმელი?
- როგორ დავიმახსოვროთ უცნობი სიტყვის/საჭმლის აღმნიშვნელი სიტყვების მნიშვნელობა? როგორ დავისწავლოთ ახალი სიტყვები? რომელი ხერხი დაგეხმარება? (სიტყვების რამდენჯერმე ,,გადახატვა"/გადაკოპირება? კონტექსტში გამოყენება? რაიმესთან ასოცირება/დაკავშირება? ხმამაღლა გამეორება? სურათებიანი ლექსიკონის შედგენა?) რომელზე დაგჭირდება დამატებითი მუშაობა?
- როგორ ვივარჯიშოთ ცალკეული ბგერების, ბგერათშენაერთების, სიტყვების სწორად წარმოთქმაში? როგორ დავიცვათ სწორი ინტონაცია?
- როგორ მოვემზადოთ დიალოგის მოსასმენად? როგორ ამოვიცნოთ წინასწარ მოსასმენ მასალაში მოცემული თემატიკა?
- როგორ ვივარჯიშოთ ცალკეული ბგერების, ბგერათშენაერთების, სიტყვების სწორად წარმოთქმაში? როგორ დავიცვათ სწორი ინტონაცია?
- როგორ/რამდენად გეხმარება სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციები/სურათები მოსასმენი ტექსტის გაგებაში?
- როგორ მოვიქცეთ, რომ უკეთ გავიგოთ მოსასმენი მასალა/ტექსტი/სიმღერა?
- რომელ სიტყვებს და ფრაზებს გამოიყენებ საყვარელი/არასაყვარელი საჭმლის დასახელებისთვის?
- როგორ მიესალმები შენს მსმენელებს?

გრამატიკა/ენობრივი ფორმები:

- როგორ გადმოიცემა ინგლისურ ენაზე ფრაზა: „I like ...“; „I don't like ...“;

ნაბიჯი 2 *(კრიტერიუმი 3-4)* **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით? **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოსცემ ინფორმაციას?

ნახატის შექმნა და პრეზენტაციის გამართვა.



პრეზენტაციისთვის გეზის მიმცემი კითხვები:

- რა მახასიათებლები აქვს პრეზენტაციას?
- არსებობს თუ არა სიტყვები, ფრაზები, რომლებიც გვჭირდება პრეზენტაციისთვის? რომელი? (მისალმება, საკუთარი თავის წარდგენა, მადლობის გადახდა)
- როგორ უნდა ვისაუბროთ საინტერესოდ (სწორი გამოთქმებითა და გარკვევით)?
- საჭიროა თუ არა წინასწარი მომზადება/რეპეტიციის გავლა სახლში, რათა პრეზენტაციამ წარმატებულად ჩაიაროს?

აქტივობა:

- მობილიზება ნახატის შესაქმნელად;
- ცოდნის მობილიზება, ჩანიშვნების გაკეთება;
- პრეზენტაციის გეგმის შედგენა;
- რეპეტიციების გავლა;
- პრეზენტაციის წარდგენა;
- პრეზენტაციის შემდეგ განვლილი სამუშაო ეტაპების განხილვა და გაუმჯობესების გზების დადგენა;

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

(შეკითხვების ბანკის სრული ვერსია იხილეთ მატრიცების დასასრულს)

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი:

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?

ახსენი, რატომ შექმენი პრეზენტაცია? რომელი საკითხის ცოდნა გამოხატე კომპლექსური დავალებით?

- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რამდენად ეფექტურად წარადგინე პრეზენტაცია? (მაგ., თუკი საუბრობს პრეზენტაციის მახასიათებლებზე, რამდენად მართებულად გამოიყენა ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკა, მეტყველების არავერბალური ხერხები და ა.შ)

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნდოვან საკითხებში?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული?

იმისათვის რომ განვსაზღვროთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ თითოეულ ქვესაკითხთან დაკავშირებით, გთავაზობთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ რუბრიკას. რუბრიკაში აღწერილია, რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეს მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით** (დაძლევის) **დონეს.**

სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ..	• ნახატის პრეზენტაცია თემაზე: საკვები; • აღწერა, რა საკვებია გამოსახული ნახატზე და რომელი საჭმელი უყვარს და რომელი არ უყვარს; • მსმენელების დაინტერესება: ვიზუალური კონტაქტი, ხმის სწორი ტემბრი..
	2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს.	• პრეზენტაციის სტრუქტურის დაცვა (მაგ. მისალმება, ძირითადი ნაწილი დაწყება, დაბოლოება..)
სამეტყველო ქმედება (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)	სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა);	• მისალმება, მადლობის გადახდა დამშვიდობება: Hello; Hi; Thank you; Goodbye. • ინფორმაციის გაცემა და დამოკიდებულების გამოხატვა საკვების შესახებ: „I'm ...“; „I like ...“; „I don't like ...“;
ენობრივი საშუალებები შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	ნახატის პრეზენტაციისას ნასწავლი სიტყვების და კონსტრუქციების გამოყენება საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით: ➢ Words of food: milk, water, bread, candy, rice, beans, chicken, fish; ➢ I like; I don't like ...

შუალედური სასწავლო მიზანი N 2

Unit 6 - Lunch

თემა - საკვები

სამიზნე ცნება	**ქვეცნებები**		**ქვესაკითხები**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	**კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი**	თემა, მიზანი, ადრესატი	თემა: ,,საკვები“; მიზანი: დიალოგური უნარ-ჩვევების განვითარება შესასწავლი საკითხის ირგვლივ; ადრესატი: თანაკლასელები.
	დისკურსული ჟანრი	სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტი	როლური თამაში
	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება დიალოგში	ინტონაცია, მახვილი, პაუზა, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი; ზეპირი ინტერაქციის სტრუქტურირება: საუბრის წამოწყება, საუბარში ჩართვა, რეპლიკაზე ადეკვატური პასუხის გაცემა);
სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)	**ფუნქციური სამეტყველო ქმედება**	• ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; • ინტერაქცია დამოკიდებულებების შესახებ;	• Using social expressions - Hello/Hi; Thank you; Goodbye; • Giving and asking for information - What is it? What do you like? Do you like ...?; Yes, I do/ No, I don't; here you are; you're welcome; • I like, I don't like.
ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	**ლექსიკა**	• დავალების მიზნის შესაბამისი ლექსიკა-არსებითი სახელები; • **ორთოეპია** (მართლმეტყველება)	• Words of food: bread, candy, water, milk, chicken, rice, fish, sandwich; • უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ბგერები, ბგერათშენაერთები, გამოთქმა, მახვილები, ინტონაცია;
	გრამატიკა	Understanding the 1st person of the verb "**to like**" **(present simple)**	I like ...; I don't like ...

საკითხი - როლური თამაში თემაზე: „სამხარი სკოლის კაფეტერიაში“;

საკვანძო შეკითხვა:

- როგორ/რა ხერხების გამოყენებით ავითვისო როლური თამაშისთვის საჭირო ენობრივი მასალა?
- როგორ/რა ხერხების გამოყენებით გავითამაშო სცენა თანაკლასელთან ერთად?

კომპლექსური დავალება:

მოამზადე შესწავლილი საკვების გამომსახველი ბარათები (მაგ: წყალი, სენდვიჩი, თევზი...). თანაკლასელთან ერთად შეადგინე და გაითამაშე სახელმძღვანელოს 52-ე გვერდზე
A დავალებაში გამოსახულის მსგავსი სცენა თემაზე: „სამხარი სკოლის კაფეტერიაში“.

ამისათვის გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი მასალა: bread, candy, water, milk, chicken, rice, fish, sandwich;
What is it? What do you like? Do you like ...?; Yes, I do/ No, I don't; I like, I don't like ... Here you are ...; you're welcome.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	 როლური თამაშის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:
ტექსტი **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)** 1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.. 2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს. 3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას.	**ტექსტი** • კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ჟანრის გამოყენება; (მკვ.წ.4) • ჟანრის სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვა; (მკვ.წ.1,2) • სიტუაციური ფაქტორების შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა. (მკვ.წ.2,3)	• როლური თამაშის თემა - რომელ კერძებს მიირთმევ კაფეტერიაში; მოგწონს თუ არა შენი სამხარი; როგორ გაუზიარებ შენს საკვებს თანაკლასელს; რას ჰკითხავ თანამოსაუბრეს მისი სამხრის შესახებ; **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოსცემ ინფორმაციას **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები);**

4. უცხოენოვანი ტექსტების შესწავლა გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენაში. **სამეტყველო ქმედება** **(შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)** 1. სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა); **ენობრივი საშუალებები** **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)** 1. უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	**სამეტყველო ქმედება** • სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებების მიზნობრივად განხორციელება. (მკვ.წ.1) **ენობრივი საშუალებები** • ახალი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული საკითხების კონტექსტში გამოყენება. (მკვ.წ.1)	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

<u>ძირითადი რესურსი:</u> სახელმძღვანელო: S.B; W.B; T.B. - Unit 6 (lesson 3)

<u>მულტიმედიური რესურსები:</u> თემის შესაბამისი ილუსტრირებული ბარათები, პოსტერები, ვიდეო და აუდიო მასალა.

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

წინარე ცოდნის გააქტიურება, გონებრივი და განწყობითი მზაობის შექმნა

აქტივობა: მასწავლებელი მოამზადებს ორი ცხოველის ე.წ. finger puppet-ის, (იხ. ნიმუში 1) და აალაპარაკებს მათ მოსწავლეებისთვის ნაცნობ საკვების თემაზე კითხვა- პასუხის რეჟიმში. ამის შემდეგ მოსწავლეებს დაახატავს თითებზე სახეებს (იხ. ნიმუში 2) და სთხოვს, წყვილებში გაასაუბრონ ისინი ერთმანეთს იმავე თემაზე (სამიზნე ენა: ინგლისური).

ნიმუში 1

ნიმუში 2

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

მასწავლებელი რწმუნდება, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაიგო კომპლექსური დავალების <u>ტიპი, დანიშნულება და შეფასების კრიტერიუმები.</u>

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1 (კრიტერიუმი 1-2) *როლური თამაშის თემა: რომელ კერძებს მიირთმევ კაფეტერიაში; მოგწონს თუ არა შენი სამხარი; როგორ გაუზიარებ შენს საკვებს თანაკლასელს; რას ჰკითხავ თანამოსაუბრეს მისი სამხრის შესახებ.*

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები
<u>**ქვეცნება- სტრატეგიები**</u>: ლექსიკის ათვისების, მოსმენილი ტექსტის გაგების, გრამატიკის.

ლექსიკა:

- რამდენად გახსოვს ან იცი საჭმელებთან დაკავშირებული ლექსიკა?
- როგორ დაიმახსოვრე საჭმელთან დაკავშირებული დასახელებები? რომელი ხერხი დაგეხმარა? წინადადებები შედგენა? რაიმესთან ასოცირება/დაკავშირება? ხმამაღლა გამეორება? სურათებიანი ლექსიკონის შედგენა?) რომელზე გჭირდება დამატებითი მუშაობა ?
- რა ხერხს გამოიყენებ იმისათვის, რომ მოსმენილი ტექსტის შემდეგ სწორად მიხვდე, რომელი კერძია? რომელი კერძია ნახსენები?
- რა ხერხს გამოიყენებ იმისათვის, რომ მოსმენილი ტექსტი სწორად შეუსაბამო შესაბამის ნახატსა და ტექსტს?
- რომელი ხერხები გამოიყენე/დაგეხმარა ინფორმაციის გაგებაში (მოსმენისას/წაკითხვისას)? რომელი ხერხის გამოყენება შეიძლებოდა უკეთესი შედეგის მისაღწევად? რამ შეგაფერხა გაგების პროცესში?

გრამატიკა/ენობრივი ფორმები:

- რომელი ხერხები გეხმარება გრამატიკული ფორმების - „I like ...“; „I don’t like ...“ - უკეთ დამახსოვრებაში? (კონტექსტში გამოყენება? სქემატური ვიზუალური მოდელის შექმნა და გონებაში წარმოდგენა?);
- რომელ ფრაზებს იყენებ კითხვის დასმის დროს / პასუხის გაცემის დროს? საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის დროს?
- რამდენად ახერხებ მარტივი წინადადებების აგებას / დასრულებას ახალი ნასწავლი კონსტრუქციების გამოყენებით?
- რომელ თავაზიან ფორმებს გამოიყენებ გამოთქმებისთვის „ინებეთ“, „არაფრის“? როგორ შეამოწმებ, რამდენად სწორად წარმოთქვამ ამ ფრაზებს?
- რომელია ის საკითხი, რომელზედაც დამატებით ვარჯიში გჭირდება?

ნაბიჯი 2 *(კრიტერიუმი 3-4)* **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით; **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოსცემ ინფორმაციას.

აქტივობა: მასწავლებელი სვამს შემდეგ კითხვებს:

- როგორ გგონია, რა არის როლური თამაში? რით განსხვავდება ის პრეზენტაციისგან?
- რატომაა საჭირო მეტყველებისას სიტყვების სწორად გამოთქმაზე დაფიქრება? მიმიკა-ჟესტიკულაციაზე დაფიქრება?

ბარათების შექმნა და როლური თამაშის გამართვა.

აქტივობა: მეტყველების ხერხებზე/სტრატეგიებზე მსჯელობა;

- ბარათების მომზადება;
- ცოდნის მობილიზება;
- მეწყვილესთან ერთად როლური თამაშისთვის საჭირო რეპლიკების შედგენა;
- რეპეტიციების გავლა;
- როლური თამაშის წარდგენა;
- რეფლექსია/თვითშეფასება. როლური თამაშის შემდეგ განვლილი სამუშაო ეტაპების განხილვა და გაუმჯობესების გზების დადგენა;

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

(შეკითხვების ბანკის სრული ვერსია იხილეთ მატრიცების დასასრულს)

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი:

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?

ახსენი, რატომ შექმენი პრეზენტაცია? რომელი საკითხის ცოდნა გამოხატე კომპლექსური დავალებით?

- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რამდენად ეფექტურად წარადგინე პრეზენტაცია? (მაგ., თუკი საუბრობს პრეზენტაციის მახასიათებლებზე, რამდენად მართებულად გამოიყენა ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკა, მეტყველების არავერბალური ხერხები და ა.შ).

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნდოვან საკითხებში?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული?

იმისათვის რომ განვსაზღვროთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ თითოეულ ქვესაკითხთან დაკავშირებით, გთავაზობთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ რუბრიკას. რუბრიკაში აღწერილია, რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეს მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით** (დაძლევის) **დონეს.**

სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ..	• მონაწილეობა როლური თამაშში თემაზე: „სამხარი სკოლის კაფეტერიაში“; • ინტერაქცია, რომელ საჭმელებს მიირთმევენ კაფეტერიაში, მოსწონთ თუ არა სამხარი; • ეფექტური კომუნიკაციისთვის დამხმარე რესურსების სწორად და საინტერესოდ გამოყენება (მაგ: ბარათები)
	2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს.	• დიალოგის სტრუქტურის დაცვა (მაგ. მისალმება, ინტერაქციაში ჩართვა, სწორი რეპლიკების შერჩევა, მოსმენა, დაბოლოება..)
სამეტყველო ქმედება (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)	სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა);	• მისალმება, მადლობის გადახდა დამშვიდობება: Hello; Hi; Thank you; Goodbye. • ინფორმაციის გაცემა და მოთხოვნა საკვების შესახებ: What is it? What do you like? Do you like ...?; Yes, I do/ No, I don't; here you are; you're welcome; • დამოკიდებულების გამოხატვა საკვებზე: I like ..., I don't like ...
ენობრივი საშუალებები შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	როლური თამაშისთვის ნასწავლი სიტყვების და კონსტრუქციების გამოყენება საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით: ➢ Words of food: bread, candy, water, milk, chicken, rice, fish, sandwich; ➢ I like; I don't like ...

შუალედური სასწავლო მიზანი N 1

Unit 7 - Things to do (Abilities)

თემა - მოქმედებები

სამიზნე ცნება	**ქვეცნებები**		**ქვესაკითხები**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	**კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი**	თემა, მიზანი, ადრესატი	თემა: ,,მოქმედებები“; მიზანი: მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების სწორი გამოყენება; ადრესატი: თანატოლები.
	დისკურსული ჟანრი	სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტი	პრეზენტაცია
	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება პრეზენტაციაში	ინტონაცია, მახვილი, პაუზა, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი;
სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)	**ფუნქციური სამეტყველო ქმედება**	• ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; • ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ;	• Using social expressions – Hello; Thank you; • Introducing oneself - I'm …; • Giving information-It can ...; It can't ...;
ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	**ლექსიკა**	• დავალების თემის შესაბამისი ლექსიკა-ზმნები; • ორთოეპია (მართლმეტყველება):	• Abilities: jump, run, walk, skip, wink, swim, dance, sing • უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ბგერები, ბგერათშენაერთები, გამოთქმა, მახვილები, ინტონაცია;
	გრამატიკა	Understanding the modal verb "can"	I can ...; I can't ... It can ...; it can't ...

საკითხი - ნახატის პრეზენტაცია თემაზე: „მოქმედებები“

საკვანძო შეკითხვა:

- როგორ/რა ხერხების გამოყენებით ავითვისო შესრულებული ნახატის წარსადგენად საჭირო ენობრივი მასალა?
- როგორ/რა ხერხების გამოყენებით წარვადგინო მოქმედებები სწორად თანატოლების წინაშე?

კომპლექსური დავალება: შეარჩიე და დახატე ორი შინაური ან ფერმის ცხოველი. სახელმძღვანელოს 59-ე გვერდის D დავალებიდან გადახატე მოქმედების აღმნიშვნელი ის სიტყვები, რის შესრულებაც შეუძლიათ ცხოველებს. წარმოადგინეთ ნახატი ზეპირად. **ამისათვის გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი მასალა:** Hello! I am …; It is ...; It can ...; it can't ...; **Abilities**: jump, run, walk, skip, wink, swim, dance, sing.		
სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები <u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	**შეფასების კრიტერიუმი** <u>მოსწავლეს შეუძლია:</u>	<u>ნახატის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</u>
ტექსტი **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)** 1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.. 2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვთ. 3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას.	**ტექსტი** • კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ჟანრის გამოყენება; (მკვ.წ.4) • ჟანრის სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვა; (მკვ.წ.1,2) • სიტუაციური ფაქტორების შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა. (მკვ.წ.2,3)	• პრეზენტაციის თემა: რომელი ცხოველებია გამოსახული შენს ნახატზე და რა მოქმედებების შესრულება შეუძლიათ მათ; რომელი მოქმედებების შესრულება არ შეუძლიათ **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოსცემ ინფორმაციას **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები);**

4. უცხოენოვანი ტექსტების შესწავლა გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენაში. **სამეტყველო ქმედება (შედეგი : (I) 3, 4, 5, 6)** 1. სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა); **ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)** 1. უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა	**სამეტყველო ქმედება** • სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებების მიზნობრივად განხორციელება. (მკვ.წ.1) **ენობრივი საშუალებები** • ახალი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული საკითხების კონტექსტში გამოყენება. (მკვ.წ.1)	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
<u>ძირითადი რესურსი:</u> სახელმძღვანელო: S.B; W.B; T.B. - Unit 7 (lessons 1, 2)

<u>მულტიმედიური რესურსები:</u> თემის შესაბამისი ილუსტრირებული ბარათები, პოსტერები, ვიდეო და აუდიო მასალა.

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
წინარე ცოდნის გააქტიურება, გონებრივი და განწყობითი მზაობის შექმნა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მიუბრუნდნენ სახელმძღვანელოს შესავალ ნაწილს, მე-3 გვერდზე D დავალებას. ილუსტრაციებზე მოცემულ მოქმედებებს ასახელებენ და ჰბაძავენ ნახატზე გამოსახულს. ამის შემდეგ ერთობლივად თამაშობენ თამაშს, სახელწოდებით „Simon says“.
პარალელურად, მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- კიდევ რა მოქმედებები შეგიძლიათ გაიხსენოთ?
- რომელი მოქმედების შესრულება შეუძლიათ, მაგ: ცხენებს? იხვებს?

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

მასწავლებელი რწმუნდება, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაიგო კომპლექსური დავალების ტიპი, დანიშნულება და შეფასების კრიტერიუმები.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. (კრიტერიუმი 1) პრეზენტაციის თემა: რომელი ცხოველები გამოსახე შენს ნახატზე და რა მოქმედებების შესრულება შეუძლიათ მათ; რომელი მოქმედებების შესრულება არ შეუძლიათ.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები

ქვეცნება - სტრატეგიები: ლექსიკის ათვისების, მოსმენილი ტექსტის გაგების, გრამატიკის.

ლექსიკა:

- რა სიტყვების ცოდნა დაგჭირდება მოქმედებებზე სასაუბროდ?
- როგორ ვივარჯიშოთ ცალკეული ბგერების, ბგერათშენაერთების, სიტყვების სწორად წარმოთქმაში? როგორ დავიცვათ სწორი ინტონაცია?
- როგორ ამოვიცნოთ მოსასმენი ტექსტისა და ილუსტრაციების დახმარებით პერსონაჟები მოქმედებები?
- როგორ/რამდენად გეხმარება სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციები/სურათები მოსასმენი ტექსტის/სიმღერის გაგებაში?
- როგორ დაგეხმარება სიმღერა მოქმედებების დამახსოვრებაში და სწორი ინტონაციით მეტყველებაში?
- როგორ ააწყობ წინადადებას: „მე შემიძლია...“;
- რამდენად შეგიძლია ამოიკითხო ილუსტრაციების ქვეშ გაკეთებული მოქმედებების აღმნიშვნელი წარწერები? გეხმარება თუ არა ეს წარწერები სიტყვების დამახსოვრებაში?
- შეგიძლია გადახატო მოქმედებების აღმნიშვნელი სიტყვები რვეულში? რა სირთულეს აწყდები გადახატვის დროს?

გრამატიკა/ენობრივი ფორმები:

- რას ნიშნავს „I can...“?;
- რა სხვაობაა „I can“-სა და „I can’t“-ს შორის?
- როგორ გადმოსცემ, რისი გაკეთება შეუძლია, მაგალითად, ძაღლს?
- როგორია სახელმძღვანელოს პერსონაჟების პასუხი კითხვაზე: „Can you wink?“

ნაბიჯი 2 (კრიტერიუმი 2-3) **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით; **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გამოხატავ შენს ემოციას, დამოკიდებულებას.

ნახატების მომზადება და პრეზენტაცია კლასის წინაშე

აქტივობა: მასწავლებელი მართავს **დისკუსიას** შემდეგ საკითხებზე:

- როგორ უნდა წარმოვადგინოთ ჩვენი ნახატი საინტერესოდ?
- რა მახასიათებლები აქვს პრეზენტაციას?
- არსებობს თუ არა განსაკუთრებული სიტყვები, ფრაზები, რაც გვჭირდება პრეზენტაციის წარსადგენად? რომელია? (მისალმება, საკუთარი თავის წარდგენა, მადლობის გადახდა)?
- როგორ უნდა ვისაუბროთ საინტერესოდ (სწორი გამოთქმებით და გარკვევით)?
- როგორ უნდა წარმოვადგინოთ ჩვენი ნახატი საინტერესოდ?
- საჭიროა თუ არა წინასწარი მომზადება/რეპეტიციის გავლა სახლში, რათა პრეზენტაციამ წარმატებულად ჩაიაროს?

აქტივობა:

- პრეზენტაციისთვის მომზადება: შერჩეული ცხოველების დახატვა და ნახატზე წარწერების დატანა;
- ზეპირი წარდგენისთვის რეპეტიციების გავლა;
- ნამუშევრის კლასში წარდგენა;
- ნამუშევრის წარდგენის შემდეგ განვლილი სამუშაო ეტაპების განხილვა და გაუმჯობესების გზების დადგენა;

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

(შეკითხვების ბანკის სრული ვერსია იხილეთ მატრიცების დასასრულს)

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი:

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?

ახსენი, რატომ შექმენი პრეზენტაცია? რომელი საკითხის ცოდნა გამოხატე კომპლექსური დავალებით?

- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რამდენად ეფექტურად წარადგინე პრეზენტაცია? (მაგ., თუკი საუბრობს პრეზენტაციის მახასიათებლებზე, რამდენად მართებულად გამოიყენა ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკა, მეტყველების არავერბალური ხერხები და ა.შ)

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნდოვან საკითხებში?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდათ ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული?

იმისათვის რომ განვსაზღვროთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ თითოეულ ქვესაკითხთან დაკავშირებით, გთავაზობთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ რუბრიკას. რუბრიკაში აღწერილია, რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეს მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით** (დაძლევის) **დონეს.**

სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ..	• ნახატის პრეზენტაცია თემაზე: „ცხოველები და მათი მოქმედებები“; • აღნიშვნა, რომელი ცხოველებია გამოსახული ნახატზე და რომელი მოქმედებების შესრულება შეუძლიათ /არ შეუძლიათ მათ; • შესრულებული ნახატის ეფექტურად გამოყენება; • მსმენელების დაინტერესება, მათთან ვიზუალური კონტაქტი,
	2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს.	პრეზენტაციის აგებულების გათვალისწინება (მისალმება, თემის წარდგენა, მადლობის გადახდა)
	3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას.	წერილობითი გამოსახულების დამახსოვრებით შესწავლილი ლექსიკური თემატიკის ფარგლებში სიტყვების დაწერა
სამეტყველო ქმედება (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)	სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა);	• მისალმება, მადლობის გადახდა: Hello; Hi; Thank you. • საკუთარი თავის წარდგენა: I’ m ...; • ინფორმაციის გაცემა ცხოველების მოქმედებების შესახებ : It can ...; It can’t ...;
ენობრივი საშუალებები შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	პრეზენტაციისთვის ნასწავლი სიტყვების და კონსტრუქციების გამოყენება საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით: ➢ Abilities: jump, run, walk, skip, wink, swim, dance, sing ➢ It can ...; it can’t ...;

შუალედური სასწავლო მიზანი N 2

Unit 7 - Things to do (Abilities)
თემა - მოქმედებები

სამიზნე ცნება	**ქვეცნებები**		**ქვესაკითხები**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	**კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი**	თემა, მიზანი ადრესატი	თემა: მოქმედებები; მიზანი: უნარების გამოხატვა „can“ მოდალური ზმნის კითხვითი ფორმების საშუალებით; ადრესატი: თანაკლასელი;
	დისკურსული ჟანრი	სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტი	დიალოგი
	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება დიალოგში	• ინტონაცია, მახვილი, პაუზა, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი;
სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)	**ფუნქციური სამეტყველო ქმედება**	• ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; • ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ; • ინტერაქცია ქმედებებზე (შეთავაზება):	• Using social expressions – Hello; Goodbye; Thank you; • Introducing oneself - I'm …; • Asking and giving information - What's your name? • Giving sb an offer: Let's ...;
ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	**ლექსიკა**	• დავალების თემის შესაბამისი ლექსიკა-ზმნები; • **ორთოეპია** (მართლმეტყველება):	• Abilities: jump, run, walk, skip, wink, swim, dance, sing • უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ბგერები, ბგერათშენაერთები, გამოთქმა, მახვილები, ინტონაცია;
	გრამატიკა	• Expressing ability modal verb "can" (question forms)	Can you? Yes, I can ...; No, I can't.

საკითხი - დიალოგი თემაზე: მოქმედებები
საკვანძო შეკითხვა:

- როგორ/რა ხერხების გამოყენებით ავითვისო დიალოგის გასათამაშებლად საჭირო ენობრივი მასალა?
- როგორ/რა ხერხების გამოყენებით დავსვა კითხვები და მოვამზადო პასუხები მოქმედებების შესახებ?

კომპლექსური დავალება: ფერადი ქაღალდებისგან დაამზადე სასურველი ცხოველის ან რომელიმე გმირის ნიღაბი. დაიყავით სამკაციან ჯგუფებად და გაითამაშეთ დიალოგი. ნიმუშად გამოიყენეთ სახელმძღვანელოს 62-ე გვერდზე დავალება A. **ამისათვის გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი მასალა:** Hello! I am …; It is ...; It can ...; it can't ...; Can you ...? Let's ...; **Abilities**: jump, run, walk, skip, wink, swim, dance, sing.		
სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები <u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	**შეფასების კრიტერიუმი** <u>მოსწავლეს შეუძლია:</u>	<u>დიალოგში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>
ტექსტი **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)** 1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია(თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.. 2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს. 3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და	**ტექსტი** • კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ჟანრის გამოყენება; (მკვ.წ.4) • ჟანრის სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვა; (მკვ.წ.1,2) • სიტუაციური ფაქტორების შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა. (მკვ.წ.2,3)	• თემა - რა ჰქვია შენს გმირს ან რომელი ცხოველია გამოსახული შენს ნიღაბზე; უპასუხე, შეგიძლია თუ არა იმ მოქმედების შესრულება, რასაც თანამოსაუბრე შეგეკითხა; აჩვენე, როგორ შეასრულებ ამ მოქმედებას **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოეცი ინფორმაცია **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები);**

დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას. 4. უცხოენოვანი ტექსტების შესწავლა გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენაში. **სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)** 1. სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა); **ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)** 1. უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	**სამეტყველო ქმედება** • სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებების მიზნობრივად განხორციელება. (მკვ.წ.1) **ენობრივი საშუალებები** ახალი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული საკითხების კონტექსტში გამოყენება. (მკვ.წ.1)	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

<u>ძირითადი რესურსი:</u> სახელმძღვანელო: S.B; W.B; T.B. - Unit 7

<u>მულტიმედიური რესურსები:</u> თემის შესაბამისი ილუსტრირებული ბარათები, პოსტერები, ვიდეო და აუდიო მასალა.

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

წინარე ცოდნის გააქტიურება, გონებრივი და განწყობითი მზაობის შექმნა

აქტივობა:
თამაში: Station stop. მასწავლებელი ამზადებს მატარებლის „ლიანდაგს“ ოთახში, რამდენიმე „სადგურით“. მოსწავლეები ქმნიან ხაზს და მოძრაობენ როგორც მატარებელი ლიანდაგის გასწვრივ. მატარებელი უნდა გაჩერდეს სადგურში შესვლისას. მასწავლებელი სადგურის მემანქანის როლშია. სადგურზე შესვლისას ირჩევს ერთ მოსწავლეს და მიმართავს, მაგ; Natalie, run! თუ მოსწავლე ამ მოქმედებას წარმატებით შეასრულებს, მიიღებს „ბილეთს“.

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

მასწავლებელი რწმუნდება, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაიგო კომპლექსური დავალების <u>ტიპი, დანიშნულება და შეფასების კრიტერიუმები.</u>

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1 (კრიტერიუმი 1) დიალოგის თემა - რა ჰქვია შენს გმირს ან რომელი ცხოველია გამოსახული შენს ნიღაბზე; უპასუხე, შეგიძლია თუ არა იმ მოქმედების შესრულება, რასაც თანამოსაუბრე შეგეკითხა; აჩვენე, როგორ შეასრულებ ამ მოქმედებას.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები
<u>ქვეცნება -</u> სტრატეგიები: ლექსიკის ათვისების, მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გაგების, გრამატიკის.

ლექსიკა:
- როგორ შევძლოთ მოქმედებასთან დაკავშირებული სიტყვების გამოყენება ინტერაქციაში?
- როგორ/რამდენად გეხმარება სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციები/სურათები მოსასმენი ტექსტის/სიმღერის გაგებაში?

- როგორ დაგეხმარება სიმღერა მოქმედებების დამახსოვრებაში და სწორი ინტონაციით მეტყველებაში?
- როგორ შეძლებ ამოიკითხო და გაიგო ტექსტი? როგორ დაგეხმარება მოსასმენი მასალა ამ ამოცანის გადაჭრაში?
- როგორ შეძლებ თანაკლასელის მიერ დასახელებული მოქმედების შესრულებას?
- რამდენად გაგიადვილდება ნიღბის საშუალებით გმირის როლის მორგება?
- როგორ შესთავაზებ თანატოლს: მოდი, ვიცეკვოთ!

გრამატიკა /ენობრივი ფორმები

- როგორ დასვამ კითხვას: შეგიძლია? დაგეხმარება თუ არა სიმღერა ამაში?
- როგორ უპასუხებ: დიახ, შემიძლია; არა, არ შემიძლია;

ნაბიჯი 2 (კრიტერიუმი 2-3). **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით; **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოეცი ინფორმაცია.

აქტივობა: მასწავლებელი სვამს შემდეგ კითხვებს:

- რა მახასიათებლები აქვს ეფექტურ, საინტერესო დიალოგს (მისალმება, საკუთარი თავის წარდგენა)?
- რატომაა საჭირო მეტყველებისას სიტყვების სწორად გამოთქმაზე დაფიქრება? მიმიკა-ჟესტიკულაციაზე დაფიქრება?

დიალოგის გამართვა

აქტივობა:

- რესურსების მობილიზება და ნიღბების დამზადება;
- ჯგუფების შექმნა;
- ცოდნის მობილიზება;
- რეპეტიციის გავლა;
- დიალოგის წარდგენა;
- დიალოგის წარდგენის შემდეგ სამუშაო ეტაპების განხილვა (რა შეცდომებს უშვებ? რა უნდა გააუმჯობესო? როგორ გააუმჯობესებ? რა ხერხს გამოიყენებ ამისთვის? რაზე გჭირდება დამატებით ვარჯიში?)

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

(შეკითხვების ბანკის სრული ვერსია იხილეთ მატრიცების დასასრულს)

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი:

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?

ახსენი, რატომ შექმენი პრეზენტაცია? რომელი საკითხის ცოდნა გამოხატე კომპლექსური დავალებით?

- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რამდენად ეფექტურად წარადგინე პრეზენტაცია? (მაგ., თუკი საუბრობს პრეზენტაციის მახასიათებლებზე, რამდენად მართებულად გამოიყენა ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკა, მეტყველების არავერბალური ხერხები და ა.შ)

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნდოვან საკითხებში?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული?

იმისათვის რომ განვსაზღვროთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ თითოეულ ქვესაკითხთან დაკავშირებით, გთავაზობთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ რუბრიკას. რუბრიკაში აღწერილია, რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეს მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით** (დაძლევის) **დონეს.**

სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია(თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ..	• დიალოგის გამართვა ცხოველის ან რომელიმე გმირის შესახებ "Can" მოდალური ზმნის გამოყენებით; • ინტერაქცია, რა ჰქვია მის გმირს ან რომელი ცხოველია გამოსახული ნიღაბზე; შეუძლია თუ არა იმ მოქმედების შესრულება, რასაც თანამოსაუბრე შეეკითხა; • სწორი ინტონაციით საუბარი (მისი საუბარი გასაგებია მეწყვილისთვის);
	2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს.	• შესაბამისი კომუნიკაციის დამყარება: შესავალი, ინფორმაციის გაცვლა, დამშვიდობება; • გაურკვევლობის შემთხვევაში რეპლიკის ან შეკითხვის გამეორება;
სამეტყველო ქმედება (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)	სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა);	• მისალმება, მადლობის გადახდა, დამშვიდობება: Hello; Hi; Thank you; Goodbye; • საკუთარი თავის წარდგენა: I'm ...; • ინფორმაციის მოთხოვნა: what's your name? • შეთავაზება: Let's ...
ენობრივი საშუალებები შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	დიალოგისთვის ნასწავლი სიტყვების და კონსტრუქციების გამოყენება საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით: ➢ Abilities: jump, run, walk, skip, wink, swim, dance, sing ... ➢ Can you ...? Yes, I can ...; No, I can't.

შუალედური სასწავლო მიზანი N 1

Unit 8 - My body
თემა - სხეულის ნაწილები

სამიზნე ცნება	**ქვეცნებები**		**ქვესაკითხები**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	**კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი**	თემა, მიზანი, ადრესატი	თემა: „სხეულის ნაწილები“; მიზანი: სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვების ამოცნობა ტექსტში, ილუსტრაციის შექმნა და აღწერა; ადრესატი: თანატოლები.
	დისკურსული ჟანრი	სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტი	პრეზენტაცია
	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება	არავერბალური კომუნიკაცია ზეპირ ტექსტში	ინტონაცია, მახვილი, პაუზა, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი;
სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)	**ფუნქციური სამეტყველო ქმედება -ცალკეული ფუნქციური გამონათქვამი**	• ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; • ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ;	• Using social expressions • Giving information
ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	**ლექსიკა**	• დავალების თემის შესაბამისი ლექსიკა-არსებითი სახელები; • **ორთოეპია** (მართლმეტყველება):	• Body parts: eyes, ears mouth,nose, hands, arms, feet, legs. • ბგერები, ბგერათშენაერთები, გამოთქმა, მახვილები, ინტონაცია;
	გრამატიკა	Revising the 1st person of the verb “to have” (present simple)	I have ...; I have a ...;

საკითხი - პრეზენტაცია თემაზე: სხეულის ნაწილები

საკვანძო შეკითხვა:

- როგორ/რა ხერხების გამოყენებით ავითვისო სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული საჭირო ენობრივი მასალა?
- როგორ/რა ხერხების გამოყენებით წარვადგინო შესრულებული დავალება თანაკლასელის წინაშე?

კომპლექსური დავალება:



ძირითადი კონტექსტ-მაგალითი:
წაიკითხე მასწავლებლის მიერ მოცემული ტექსტი: „I am a monster“. დახატე ტექსტის მიხედვით მონსტრის ილუსტრაცია და შესრულებული ნახატი ზეპირად წარადგინე.
ამისათვის გამოიყენე შესაბამისი ენობრივი მასალა: Body parts: eyes, ears, mouth, nose, hands, arms, feet, legs; I have ...; I have a ...;

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები <u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	**შეფასების კრიტერიუმი** <u>მოსწავლეს შეუძლია:</u>	<u>ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</u>
ტექსტი **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)** 1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის	**ტექსტი** • კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ჟანრის გამოყენება; (მკვ.წ.4)	• საუბრის თემა: როგორ გამოიყურება შენი დახატული მონსტრი; სხეულის რა ნაწილებს, ფერებსა და რიცხვით სიტყვებს იყენებ შენს პრეზენტაციაში **(სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის

დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.. 2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს. 3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას. 4. უცხოენოვანი ტექსტების შესწავლა გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენაში. **სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)** 1. სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა); **ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)** 1. უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	• ჟანრის სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვა; (მკვ.წ.1,2) • სიტუაციური ფაქტორების შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა. (მკვ.წ.2,3) **სამეტყველო ქმედება** • სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებების მიზნობრივად განხორციელება. (მკვ.წ.1) **ენობრივი საშუალებები** • ახალი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული საკითხების კონტექსტში გამოყენება. (მკვ.წ.1)	გათვალისწინებით **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოსცემ ინფორმაციას **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები);**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
<u>ძირითადი რესურსი:</u> სახელმძღვანელო: S.B; W.B; T.B. - Unit 8 (lessons 1, 2)
<u>მულტიმედიური რესურსები:</u> თემის შესაბამისი ილუსტრირებული ბარათები, პოსტერები , ვიდეო და აუდიო მასალა.

<u>დამატებითი რესურსი N6:</u>

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
წინარე ცოდნის გააქტიურება, გონებრივი და განწყობითი მზაობის შექმნა

აქტივობა: მასწავლებელი მოამზადებს კლასს, შეამოწმებს აქვთ თუ არაა ფერადი ფანქრები ფერების და რიცხვების გასამეორებლად. ამის შემდეგ რიგ-რიგობით ასახელებს ფერებს ინგლისურ ენაზე. მოსწავლეებმა უნდა მოისმინონ, იპოვონ ეს ფერი და აჩვენონ. იმავენაირად ხდება რიცხვითი სიტყვების გამეორება: მასწავლებელი ამბობს, მაგ.; three pencils, მოსწავლეები აჩვენებენ სამ ფანქარს.

- რამდენად გახსოვთ ფერების აღმნიშვნელი სიტყვები?
- რამდენად გახსოვთ რიცხვების აღმნიშვნელი სიტყვები?
- შეგიძლია თანაკლასელებს შესთავაზო რამე თამაში ფერებზე? რიცხვებზე?
- იცი თუ არა, რა არის მონსტრი? როგორია, შენი წარმოდგენით, მონსტრი?

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

მასწავლებელი რწმუნდება, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაიგო კომპლექსური დავალების <u>ტიპი, დანიშნულება და შეფასების კრიტერიუმები.</u>

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1(*კრიტერიუმი 1)* **საუბრის თემა:** როგორ გამოიყურება შენი დახატული მონსტრი; სხეულის რა ნაწილებს, ფერებსა და რიცხვით სიტყვებს იყენებ შენს პრეზენტაციაში.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები

ქვეცნება - სტრატეგიები: ლექსიკის ათვისების, მოსმენილი ტექსტის გაგების, გრამატიკის.

ლექსიკა:

- რომელი სიტყვების ცოდნა გჭირდება სხეულის ნაწილებზე სასაუბროდ?
- როგორ ივარჯიშებ ახალი ლექსიკური ერთეულების სწორად წარმოთქმაზე?
- როგორ დაიმახსოვრე ახალი სიტყვები: ხშირად გამეორებით, სიმღერით? რომელია ყველაზე რთულად დასამახსოვრებელი სიტყვა?
- რამდენად დაგეხმარება სიმღერის შესწავლა სწორი გამოთქმების დამახსოვრებაში?
- როგორ/რამდენად გეხმარება სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციები მოსასმენი ტექსტის/სიმღერის გაგებაში?
- როგორ დავსვათ კითხვები ინგლისური ენისთვის დამახასიათებელი ინტონაციისა და მახვილების დაცვით?
- რამდენად კარგად გახსოვს რიცხვებისა და ფერების სახელები? შეგიძლია ამოიკითხო ფერები და რიცხვები? გჭირდება თუ არა ხელახლა გამეორება და ვარჯიში აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულებზე?
- როგორ ისაუბრებ შენს დახატულ მონსტრზე?

გრამატიკა/ენობრივი ფორმები:

- რამდენად კარგად გახსოვს გრამატიკული ფორმა: „მე მაქვს“?
- შეგიძლია ააგო წინადადებები „I have...“ ფრაზის გამოყენებით?
- რა გიშლის ხელს წინადადებების აგებაში?

ნაბიჯი 2. (კრიტერიუმი: 2-3) როგორ **გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით; **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოსცემ ინფორმაციას.

ტექსტის მიხედვით ილუსტრაციის დახატვა და პრეზენტირება

პრეზენტაციისთვის გეზის მიმცემი კითხვები:

- რა მახასიათებლები აქვს პრეზენტაციას?
- არსებობს თუ არა რაიმე სიტყვები, ფრაზები, რაც გვჭირდება პრეზენტაციის წარსადგენად? რომელი? (მისალმება, საკუთარი თავის წარდგენა, მადლობის გადახდა)
- როგორ უნდა ვისაუბროთ საინტერესოდ (სწორი გამოთქმებით და გარკვევით)?
- საჭიროა თუ არა წინასწარი მომზადება/რეპეტიციის გავლა სახლში, რათა პრეზენტაციამ წარმატებულად ჩაიაროს?

<u>**დამატებითი რესურსი N6**</u>

აქტივობა:

- რესურსების მობილიზება;
- მასწავლებლის მიერ სანიმუშო ტექსტის გაცნობა და დავალების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- ილუსტრაციების შესრულება;
- შესრულებულ ილუსტრაციებზე დაყრდნობით პრეზენტაციისთვის მობილიზება;
- პრეზენტირება
- პრეზენტაციის შემდეგ განვლილი სამუშაო ეტაპების განხილვა (რა შეცდომებს უშვებ? რა უნდა გააუმჯობესო? როგორ გააუმჯობესებ? რა ხერხს გამოიყენებ ამისთვის? რაზე გჭირდება დამატებით ვარჯიში?)

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

<u>**(შეკითხვების ბანკის სრული ვერსია იხილეთ მატრიცების დასასრულს)**</u>

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი:

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?

ახსენი, რატომ შექმენი პრეზენტაცია? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რამდენად ეფექტურად წარადგინე პრეზენტაცია? (მაგ., თუკი საუბრობს პრეზენტაციის მახასიათებლებზე, რამდენად მართებულად გამოიყენა ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკა, მეტყველების არავერბალური ხერხები და ა.შ)

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნდოვან საკითხებში?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული?

იმისათვის რომ განვსაზღვროთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ თითოეულ ქვესაკითხთან დაკავშირებით, გთავაზობთ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ რუბრიკას. რუბრიკაში აღწერილია, რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეს მოლოდინები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის **მიმართებით** (დაძლევის) **დონეს.**

სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია (თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ.	• ილუსტრაციის (I am a monster) პრეზენტაცია თემაზე: სხეულის ნაწილები; • შესრულებული ნახატის სწორად გამოყენება კომუნიკაციის მიზნით (მსმენელებთან ჩვენება, აუდიტორიასთან კონტაქტი...) • აღწერა, როგორ გამოიყურება მის მიერ დახატული მონსტრი; სხეულის ნაწილების, ფერებისა და რიცხვითი სიტყვების დასახელებით.
	2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); თითოეულ მათგანს კი თავისებური აგებულება აქვს.	პრეზენტაციის აგებულების გათვალისწინება (მისალმება, თემის წარდგენა, მადლობის გადახდა)
	3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას.	შესწავლილი ლექსიკური თემატიკის - სხეულის ნაწილების ფარგლებში წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის მიმართებების გამოყენება ტექსტის გასაგებად
სამეტყველო ქმედება (შედეგები: (I) 3, 4, 5, 6)	სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა);	• მისალმება, მადლობის გადახდა, დამშვიდობება: Hello; Hi; Thank you; Goodbye; • ინფორმაციის მიწოდება სხეულის ნაწილების შესახებ: I have ...; I have a ...
ენობრივი საშუალებები შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	პრეზენტაციისას ნასწავლი სიტყვების და კონსტრუქციების გამოყენება საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით: ➢ Body parts: eyes, ears mouth,nose, hands, arms, feet, legs ➢ I have ...; I have a ...

შუალედური სასწავლო მიზანი N 2

Unit 8 - My body
თემა - სხეულის ნაწილები

სამიზნე ცნება	**ქვეცნება**		**ქვესაკითხები**
ტექსტი (შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)	**კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებელი**	თემა, მიზანი, ადრესატი	თემა: „სხეულის ნაწილები“ მიზანი: სხეულის ნაწილების და მოქმედების აღმნიშვნელი ზმნების გამოყენებით ინტერაქცია; ადრესატი: თანაკლასელები
	დისკურსული ჟანრი	სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტი	პრეზენტაცია
	არავერბალური კომუნიკაციის საშუალება	• არავერბალური კომუნიკაცია ზეპირ ტექსტებში; • ზეპირი ინტერაქციის სტრუქტურირება	ინტონაცია, მახვილი, პაუზა, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი; საუბრის წამოწყება, საუბარში ჩართვა, რეპლიკაზე ადეკვატური პასუხის გაცემა.
სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)	**ფუნქციური სამეტყველო ქმედება**	• ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში; • ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად.	• Using social expressions: Hello; Thank you; Goodbye; • Giving/asking information about abilities.
ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)	**ლექსიკა**	• დავალების თემის შესაბამისი ლექსიკა-არსებითი სახელები,ზმნები • **ორთოეპია** (მართლმეტყველება):	• Body parts: eyes, ears mouth,nose, hands, arms, feet, legs; • Verbs: clap, stomp, swing, shake…. • ბგერები, ბგერათშენაერთები, გამოთქმა, მახვილები, ინტონაცია.
	გრამატიკა	**Modal verb:** can (positive and question forms); What can you do? **Revision** of: to have	I can ...; Can you ...? I have ...; I don’t have ...

საკითხი: პრეზენტაცია თემაზე: „დღეს მე ვარ რობოტი“ (I am a robot today)
საკვანძო შეკითხვა:

- როგორ/რა ხერხების გამოყენებით ავითვისო პრეზენტაციის, „დღეს მე ვარ რობოტი“, წარსადგენად საჭირო ენობრივი მასალა?
- როგორ/რა ხერხების გამოყენებით წარმოვადგინო პრეზენტაცია?

კომპლექსური დავალება:

გაეცანი სახელმძღვანელოს 69-ე გვერდზე C დავალებაში სიმღერას და წარმოიდგინე, რომ ხარ რობოტი. წარმოადგინე შენი თავის პრეზენტაცია: ჩამოთვალე შენი სხეულის ნაწილები და რის გაკეთება შეგიძლია. შეასრულე ჩამოთვლილი მოქმედებები.

ამისათვის გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი მასალა:

- Body parts: eyes, ears mouth, nose, hands, arms, feet, legs.
- Verbs: clap, stomp, swing, shake…
- I can ...; Can you ...? I have ...; I don't have ...

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
ტექსტი **(შედეგები: (I) 1, 2, 3, 5, 6, 7)** 1. ყველა ტექსტს გააჩნია კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაცია(თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები), რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგალითად, თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით და ა.შ. 2. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის (მაგ. დიალოგი, ლექსი, ღია ბარათი, კატალოგი); ყველა მათგანს კი თავისებური აგებულება აქვთ. 3. ტექსტების სწორად წასაკითხად (დეკოდირება) და დასაწერად (კოდირება) მნიშვნელოვანია	**ტექსტი** • კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ჟანრის გამოყენება; (მკვ.წ.4) • ჟანრის სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვა; (მკვ.წ.1,2) • სიტუაციური ფაქტორების შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა. (მკვ.წ.2,3)	• პრეზენტაციის თემა: რა არის შენი განსახიერებული რობოტის მახასიათებლები; სხეულის რომელი ნაწილები აქვს და რისი გაკეთება შეუძლია; როგორ განასახიერებ ჩამოთვლილ მოქმედებებს და როგორ უპასუხებ თანაკლასელების კითხვებს **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ გამოიყენე** ნასწავლი სიტყვები, გამონათქვამები, გრამატიკული ფორმები საკომუნიკაციო სიტუაციისა და მიზნის გათვალისწინებით **(ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები);** • **როგორ შეუხამე** საკომუნიკაციო სიტუაციას ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მახვილები და გამოთქმა, რომლითაც გადმოეცი ინფორმაცია **(ტექსტი, ენობრივი საშუალებები);**

წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს შორის არსებული შესაბამისობების ცოდნა - სიტყვის ზოგ ბგერას ერთი ასო შეესაბამება, ზოგ ბგერას - ასოთშენაერთები; ზოგი ასო ან ასოთშენაერთი კი წაკითხვისას საერთოდ არ გამოითქმის. ხმოვანი ასოები ღია მარცვალში სხვა ბგერებს გვაძლევს, დახურულში კი - სხვას. 4. უცხოენოვანი ტექსტების შესწავლა გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენაში. **სამეტყველო ქმედება (შედეგი: (I) 3, 4, 5, 6)** 1. სამეტყველო ქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი (მაგ., საკუთარი თავის წარდგენა, რჩევის მიცემა, აღწერა-დახასიათება, თავს გადამხდარი ამბის მოყოლა); **ენობრივი საშუალებები (შედეგები: (I) 1, 2, 3, 4, 5, 6)** 1. უცხოურ ენაზე სათქმელის გადმოსაცემად, ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა;	**სამეტყველო ქმედება** • სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებების მიზნობრივად განხორციელება. (მკვ.წ.1) **ენობრივი საშუალებები** • ახალი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული საკითხების კონტექსტში გამოყენება. (მკვ.წ.1)	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
<u>ძირითადი რესურსი:</u> სახელმძღვანელო: S.B; W.B; T.B. - Unit 8

<u>მულტიმედიური რესურსები:</u> თემის შესაბამისი ილუსტრირებული ბარათები, პოსტერები, ვიდეო და აუდიო მასალა.

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
წინარე ცოდნის გააქტიურება, გონებრივი და განწყობითი მზაობის შექმნა

აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს წარმოუდგენს ხელის თოჯინას, ე.წ. hand puppet, და სთხოვს, ყურადღებით მოუსმინონ მათ დიალოგს და დაიმახსოვრონ პასუხები:

- What's your name?
- How are you?
- Do you have three ears?
- Do you have two hands?... და ა.შ.
- Can you dance?
- Can you wink?... და ა.შ.

ამის შემდეგ შეეკითხება მოსწავლეებს, ჩამოთვალონ, სხეულის რომელი ნაწილები დაასახელეს? რომელი ნაწილები არ უხსენებიათ? რის გაკეთება შეუძლია და/ან არ შეუძლია თოჯინას?

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

მასწავლებელი რწმუნდება, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაიგო კომპლექსური დავალების <u>ტიპი, დანიშნულება და შეფასების კრიტერიუმები.</u>

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. (კრიტერიუმი1) პრეზენტაციის თემა: რა არის შენი განსახიერებული რობოტის მახასიათებლები; სხეულის რომელი ნაწილები აქვს და რისი გაკეთება შეუძლია; როგორ განასახიერებ ჩამოთვლილ მოქმედებებს და როგორ უპასუხებ თანაკლასელების კითხვებს.

